



განცხადებითი „რკინის გუმბათი“

**ვინც გადატრიალების მოწყობას შეეცდება,
ყველა მიუჯდება ან მიუნდება სააკაშვილს!**

**ფსევდოლიბერალიზმი,
ან საკაცობრიო
ბარყვნილება, მთავრდება**

**ხელისუფლებამ
ქვეყნის განვითარების
ხელისშემშლელი
პოლიტიკური ნაბაჟი
უნდა მოგვაშოროს!**

**ვინაც არ ეზარება,
გვემუნათებს
და გვემუქრება...**

**სრულიად
ჯოჯოხეთი და
სრულიად სამოთხე**



**დასავლეთი ქართველი ერიტოვის მიუღებელ
დექრისტოიანიზმსთან გვანიჭებებს**



ირაკლი კობახიძე

განსაკუთრებული აქცენტით გაქვთ დაელოდეთ ქვეყნის განვითარებას, რადგან ქვეყნის განვითარება ყველა მხარეს მოსახლეობისთვის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჩვენი საპარლამენტო-პოლიტიკური მოვლით განხორციელდება

ახალი მოწვევის პარლამენტი, პირველივე სესიონი, სალომე ზურაბიშვილს არანაკლებ 100 ხმით იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენებს

როგორც მოგეხსენებათ, 2023 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, იმპიჩმენტის პროცედურის ფარგლებში, სალომე ზურაბიშვილი კონსტიტუციის დამრღვევად გამოაცხადა და დაადასტურა საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლით დადგენილი წესი, რომ პრეზიდენტს საგარეო ვიზიტის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში.

ისიც მოგეხსენებათ, რომ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემდეგ, სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის თანამდებობა მხოლოდ რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენელი პარლამენტარების მხარდაჭერის ხარჯზე შეინარჩუნა.

მიიღო რა რადიკალური ოპოზიციისგან კონსტიტუციის დარღვევის საკითხში ხელშეუხებლობის გარანტია, სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს კონსტიტუციის უხეშად დარღვევა მოგვიანებითაც განაგრძო. კერძოდ, მან იმპიჩმენტის პროცედურის დასრულების შემდეგაც განაგრძო საგარეო ვიზიტი საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე, მათ შორის, გასულ კვირას ვიზიტი იმყოფებოდა საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთსა და ბელგიაში.

აღსანიშნავია, რომ თუკი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე უცხო ქვეყნებს და ორგანიზაციებს შეეძლოთ ეთქვათ, რომ მათთვის ცნობილი არ იყო, რომ პრეზიდენტს ვიზიტისთვის მთავრობის თანხმობა ესაჭიროებოდა, ამ გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს მთავრობის სავალდებულო თანხმობის გარეშე სალომე ზურაბიშვილის მიღება, ქართველი ხალხის და მისი კონსტიტუციური მოწყობის განზრახ უპატივცემულობასთან ერთად, ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევა და ეწინააღმდეგება ჩვენს საერთო ევროპულ ღირებულებებს.

ჩვენი კონსტიტუცია ის ფუნქციონირებს აქტია, რომელიც ქართველი ხალხის ნება განსაკუთრებულ ასახვას პოულობს, ამიტომ მისი განზრახვი, ღია და თავხედური დარღვევა რეაგირების გარეშე ვერ დარჩება.

აქედან გამომდინარე, საპარლამენტო უმრავლესობამ მივიღეთ გადაწყვეტილება, ხელახლა აღვძრათ იმპიჩმენტის პროცედურა და მოვაშალოთ ახალი კონსტიტუციური წარდგინება, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საპარლამენტო არჩევნებამდე წარედგინება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის დარღვევის ფაქტის დადასტურების შემდეგ, ახალი მოწვევის პარლამენტი, პირველივე სესიონებზე, სალომე ზურაბიშვილს არანაკლებ 100 ხმით იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადააყენებს.

შესაბამისად, იმპიჩმენტის წესით მისი გადაყენებით, სალომე ზურაბიშვილის უფლებამოსილების ვადა მაქსიმუმ ერთი თვით შეიკვეცოს. აქედან გამომდინარე, იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან მის გადაყენებას, უფლებამოსილების ვადის მხრივ, აქვს მეტწილად სიმბოლური დატვირთვა, თუმცა ძალზე პრინციპულია ამ გადაწყვეტილების სამართლებრივი და პოლიტიკური დატვირთვა.

არ შეიძლება ქართველი ხალხის მთავარი კანონის განზრახვი, უხეშად და სისტემატური დარღვევა დაუსჯელი დავტოვოთ.

კონსტიტუციის დამრღვევ სალომე ზურაბიშვილს უნდა დარჩეს არა ყოფილი პრეზიდენტის, არამედ გადაყენებული პრეზიდენტის სტატუსი, რაც, როგორც პრეცედენტი, შეასრულებს უმნიშვნელოვანეს პრევენციულ როლს მომავალში ამგვარი თვითნებობის თავიდან ასაცილებლად და ქართული დემოკრატიის განსამტკიცებლად

მიხეილ სააკაშვილს დანაშაულები აქვს ჩადენილი, რისთვისაც სასჯელს იხდის

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უნდა ვუთხრათ, როგორი მცდელობაა, ამ ქვეყნების სახელით ჩაერიონ საქართველოს პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში თბილისის მერმა მედიის შესაბამისი კითხვის საპასუხოდ ისაუბრა უცხო ძალების მიერ საქართველოში საარჩევნო პროცესებში ჩარევის მცდელობებზე.

„რამდენიმე დღის წინ ვნახეთ საარჩევნო კამპანიაში ჩარევის მცდელობები. კატეგორიულად მიუღებელია თუნდაც ევროკავშირის ელჩის ის განცხადებები, რაც მოვისმინეთ. ეს არის პირდაპირ მცდელობა საარჩევნო კამპანიაში ჩარევის.“

ასევე, ზოგიერთი ტელევიზიის გადაწყვეტილებები ზოგიერთი კლიპის არგუმენტასთან დაკავშირებით, ფუნდამენტად მოჰყავთ, რაზე დაყრდნობითაც იღებენ ამ გადაწყვეტილებას - ის, რომ ეს ევროკავშირის ელჩს არ მოსწონს. ეს დამოკიდებულება კატეგორიულად მიუღებელია. ევროკავშირის ელჩი წარმოადგენს ყველა იმ სახელმწიფოს, რომელიც ევროკავშირშია გაწევრიანებული, შესაბამისად ჩვენ იმ ქვეყნებს, მათ საგარეო საქმეთა სამინისტროებს უნდა დაეუბნათ შესაბამისი წერილი, ვუთხრათ, რა ხდება რეალურად, როგორი მცდელობაა, ამ ქვეყნების სახელით ჩაერიონ საქართველოში პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში“, - თბილისის მერის თქმით, არ არსებობს არცერთი რეალური მიზეზი, რის გამოც ევროკავშირმა შეიძლება საქართველოს საეიზო შეზღუდვა დაუწესოს.

„რატომ უნდა დააწესოს ევროკავშირმა საეიზო შეზღუდვა, ხელჩასაჭიდი ხომ უნდა იყოს რაიმე?! საქართველოს მთავრობას უნდა გადაეღვა ისეთი ნაბიჯი, რაც დამანგრეველი, დამაზიანებელი იქნებოდა ან ასცდა ევროპულ კურსს. რეალობაში მსგავსი არაფერი არსებობს. რაც შეეხება გამჭვირვალობის კანონს, მისი აუცილებლობაც არ დადგებოდა

დღის წესრიგში, რომ არა ის დანაშაულები, რაც პირდაპირ ხელს უწყობდა რევოლუციურ სცენარს, ექსტრემიზმს, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაპირისპირებას. გამოდიოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ხელისუფლების გადადგომას მოითხოვდნენ. რომ არა ეს პროცესები, ამ კანონის აუცილებლობა არ დადგებოდა დღის წესრიგში. თუ შეიცვლება მიდგომები, გამჭვირვალობის კა-

ლი რეზოლუცია იმის მიხედვით დაიწერა. რა არის აღნიშნული რეზოლუციის შინაარსი? - გვეუბნებიან, გამოუშვეთ სააკაშვილი. წარმოგედგენიათ?! იღებენ რეზოლუციას, რომლითაც გვეუბნებიან, რომ ადამიანი, რომელსაც კონკრეტული დანაშაულები აქვს ჩადენილი და ამისთვის სასჯელს იხდის, უნდა გათავისუფლდეს. ასე ფუთავენ, რომ თურმე ეს არის დემოკრატია. ასევე, საუბარი იყო



ნონის აუცილებლობაც აღარ იქნება მომავალში“, - აღნიშნა კახა კალაძემ.

* * *

„გავა დრო და გაირკვევა, რომ ვიღაცას ფული გადაუხადეს და ეს კონკრეტული რეზოლუცია იმის მიხედვით დაიწერა“, - ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული იმ რეზოლუციის შეფასებისას განაცხადა, სადაც ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებაზე საუბარი.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილს კონკრეტული დანაშაულები აქვს ჩადენილი, რისთვისაც სასჯელს იხდის. „გულწრფელად ვამბობ, რომ რეზოლუციებს არანაირი ფასი არ აქვს, რადგან ვიცით, თუ როგორ იწერება ისინი. გავა გარკვეული დრო და გაირკვევა, რომ ვიღაცას ფული გადაუხადეს და ეს კონკრეტუ-

ლგებტ პროპაგანდაზე. ამ დროს კი მარტივი მოცემულობაა - ჩვენ ვეწინააღმდეგებით პროპაგანდას. ადამიანის უფლებებს უდიდეს პატივს ვცემთ და საზოგადოებას უმრავლესობად და უმცირესობად არ ვყოფთ. პირობითად თქვენ, ვისთან რას აკეთებთ და როგორ, ეს არც ჩემი და არც საზოგადოების საქმეა. ეს თქვენი პირადია და შეგიძლიათ, შეინახოთ თქვენთვის. ამ ყველაფრის პროპაგანდა კატეგორიულად მიუღებელია.“, - განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, მსგავსი შეფასებები პოლიტიკური პროცესებში გარკვეული ინსტრუმენტია, რომლითაც მოქალაქეების დაპირისპირებას ცდილობენ. „თქვენ გიცავთ კანონი, ისევე, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს ამ ქვეყანაში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და არა ადამიანების დაყოფა და რაღაც მიმართულების პროპაგანდა, რომელიც ერთ-ერთი ინსტრუმენტია პოლიტიკურ პროცესებში, რათა გამოყენებული იყოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, მოქალაქეების დაპირისპირება შედგეს და პოლარიზება გაღრმავდეს. ესეც ჩვეულებრივი ინსტრუმენტია, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები და კიდევ ბევრი რამ. ამ მოცემულობის წინაშე ვდგავართ დღეს. ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან მარტივია არჩევანის გაკეთება - რა არის ერთ მხარეს და რა მეორე მხარეს“, - აღნიშნა თბილისის მერმა.

კითხვაზე - რა მოლოდინები აქვს საქართველოსთან დაკავშირებული რეზოლუციის შესახებ, რომლის კენჭისყრაც ევროპარლამენტში 10 ოქტომბერსა დაგეგმილი, კახა კალაძემ პასუხობს, რომ მსგავსი რეზოლუციებით, მიზანმიმართულად ითხოვდნენ, საქართველო შეერთებოდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს, რომლითაც ისევე ქართველი ხალხი დაზარალებულია.



მამუკა მდინარაძე

ჩვენ არ ვაპირებთ ვაპატიოთ ზურაბიშვილს მილიონზე ახალგაზრდათა ადამიანის „გადაგდება“ და საქართველოს კონსტიტუციის თავეთ გადახევა

თუ თაობებს რეალური ისტორია არ ვასწავლით, უსსო ქვეყნები „ასწავლიან“ საქართველოს გეოგრაფიას!



გვესაუბრება ჟურნალისტი, მიმომხილველი ნიკა არმელაძე:

- ნუკა, არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და დღითიდღე ძლიერდება მოთხოვნები დასავლეთის მხრიდან, პრეტენზიები, შენიშვნები... ახლა, მაგალითად, ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ მიღებული კანონის გამო აღფრთოვანდნენ. რა არის დასავლეთის მხრიდან ასეთი კატეგორიული მოთხოვნის რეალური მიზეზი?

- დასავლეთი ჩვენს სახელმწიფოს კი არა, ადამიანებს ებრძვის, ვისი წყალობითაც შედგა დღევანდელი ხელისუფლება. მათ არაერთხელ სცადეს ხელისუფლების მოქრთამვა და რამდენჯერმე გამოუვიდათ კიდევ. დავიწყეთ კვირიკაშვილიდან, გახარია და ბერი სხვა შემთხვევები ჩამოგვითვალოთ, მაგრამ ერთადერთი, ვისაც ვერ მოერივნენ, ხალხი იყო, რომელიც აძლიერებს ხელისუფლებას!

ამერიკის სადაზვერუო სამსახურს შექმნილი აქვს საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაციების ცენტრი, რაც პირდაპირ ითვალისწინებს ადამიანების აზროვნებაზე ზემოქმედებას. უკარინის ომის შემთხვევაში, პრაქტიკულად, მათ ამით შეძლეს, შეექმნათ ის, რაც შექმნეს, მაგრამ საქართველოში ამან ვერ იმუშავა.

ჩვენ ახლა მართლა ვეზისტენციალური არჩევნების წინაშე ვდგავართ! აქ ჩვენ ვირჩევთ მიმართულებას და არა პროგრამას, თორემ მე შემთხვევით, „ქართული ოცნების“ გაკეთებულ საქმეებზე ძალიან ბევრი ვილაპარაკო, დაწყებული წიგნებისა და ლეპტოპების უფასოდ მიწოდებიდან სკოლის მოსწავლეებზე, დამთავრებული ჯანდაცვის პროგრამებით, თუ ინფრასტრუქტურული პროექტებით...

- დასავლეთიდან ნაკვეთი ჩვენი რადიკალები არჩევნების შემდგომი დღეებისთვის ემზადებიან. შეძლებს თუ არა საქართველოს ხელისუფლება, ამ გამოწვევას გაუმკლავდეს?

- ისეთი ქვეყნები გვიდგანან მხარში ახალი სტრატეგიული პარტნიორების სახით, რომ „გადატრიალებს“ ასე მარტივად ვეღარ გამოვა. რაც მთავარია, ჩვენ ვენდობით შსს-ს და უშიშროების სამსახურს, რადგან წინ ბევრი მაგალითი გვაქვს ამისათვის. თუ მეტყვიან, მე გავალ და დავდგები მათ გვერდით

და ასევე მოიქცევა სხვა უამრავი ადამიანი, მაგრამ ეს უკვე წინააღმდეგობა და იმედია, არ დაგვჭირდება. როცა რადიკალების ქმედებებთან დასაპირისპირებლად ხელისუფლების მხარდამჭერები „ანტიმადანის“ შექმნას ცდილობდნენ, ამის სასტიკი წინააღმდეგე ვიყავი, რადგან ზუსტად ერთ კვირაში აქ შეიძლება ისეთი „კივივი“ დატრიალებულიყო, რომ ვერავინ გადარჩებოდა! ჩემი მოქალაქეობრივი ვალაია, მივიღე არჩევნებზე და საკუთარი ნება დავაფიქსირე. ჩვენ უნდა მივცეთ შესაძლებლობა სახელმწიფოს, შეასრულოს ის მისია, რაც ევალება და მაღლობა უფალს, ისინი იდეალურად ართმევენ თავს ამ ვალდებულებას. გამოირიცხვია, რომ სახელმწიფოს ძალოვანმა მხარემ სისუტე აჩვენოს.

მიმაჩნია, რომ ჩემს სამშობლოს ყველა მუშობელთან დალაგებული და შეთანხმებული ურთიერთობა უნდა ჰქონდეს; რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა. ეს არის ყველაზე მთავარი, რაც უნდა მოხდეს. იმდენად დიდი გზა გაიარეს ჩვენმა დასავლელმა ვაი-მეგობრებმა ჩვენსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების უკანასკნელი ძაფის გასწვევტად, რომ ომიც კი დაატრიალეს 2008 წელს.

ყოველთვის ვადევნებ თვალყურს, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სხვა ქვეყნებს, ჩვენი სამშობლოს მიმართ. ასე, მორიგ ჯერზე ვიხილე ჩვენი თანამემამულის, პარტია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ საერთაშორისო მდივანის, მამუკა ფიფიას ინტერვიუ სერგეი კარნაუხოვთან - ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ და როგორ წარმოადგენს შენს სამშობლოს უცხოეთში და ათმაგად მნიშვნელოვანია, როცა ეს ქვეყანა არის რუსეთი! მამუკა და მისი მეუღლე გალიდან არიან და ვინ, თუ არა ამ ოჯახმა, კარგად იცის, თუ რა ხდება, რა ხდება და რა არის სასურველი ჩვენი ქვეყნისათვის! გავიგე ასევე, რომ სალომე ზურაბიშვილს მამუკას მეუღლისთვის არ მიუნიჭებია საქართველოს მოქალაქეობა, - გალის, საქართველოს რეგიონის, აფხაზეთის მკვიდრს, სადაც დროებით არ ხორციელდება ჩვენი იურიდიქცია, დევნილ ადამიანს,

უარი უთხრა პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობაზე! რაღა უნდა თქვა?! იმედი მაქვს, ეს მალე გამოსწორდება! დღეებს ვითვლი, როდის დამთავრდება ზურაბიშვილის აღვირახსნილობა და ჩემი სამშობლოს ბედით თამაში!

- რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბრობთ, ჩვენი რადიკალები კი გამუდმებით აპელირებენ იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ რუსეთისკენ მიგვიჯანსებს. როგორ წარმოგიდგენიათ არსებულ რეალობაში ამ ორი ქვეყნის პარტნიორობა?

- ჩვენ კი აგვიკრძალებს ყველაფერი „რუსული“ რადიკალებმა, მაგრამ იცით, რომ თოზიცივის ყველა ლიდერი თავის შვილს რუსულ ენაში აშხადებს?! ძიძები ჰყავთ რუსები და ამ ენას ასწავლიან შვილებს საფუძვლიანად. სამაგიეროდ, ხალხს აუკრძალებს „მტრის“ ენაზე საუბარი. უკაცრავად და, ჩემი მტერი რას მეუბნება, ვერ უნდა გავიგო?! თუ დავაკვირდებით, ბოლო პერიოდში მკვეთრად შეიცვალა რუსეთის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ 12 წელია, ხელისუფლებაშია, რუსეთის კეთილგანწყობა ჩვენი ქვეყნის მიმართ უფრო უკრინის ომის დაწყების შემდეგ გამოიკვეთა. ამავე დროს თვალყურს ვადევნებ ინფორმაციას, თუ როგორ იცვლება დასავლეთის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი. ვხედავ, რომ დასავლეთი ყოველდღე მამცირებს, ამცირებს და შურაცხყოფს ჩემს ხელისუფლებას, რომელიც მე ავირჩიე და, აქედან გამომდინარე, ის ჩემს არჩევანს პატივს არ სცემს. მიშა სააკაშვილს რომ აღარ ავირჩევთ ამ ქვეყანაში, ამდენი უნდა გესმოდეს! თუ ჭკვიანი პოლიტიკოსი ხარ, უნდა მიხვდეთ, რომ ეს ქვეყანა აღარ დაუშვებს სააკაშვილის გამეორებას!

სამწუხაროდ, ისტორიას სკოლაში არასდროს გვასწავლიდნენ ისე, როგორც საჭირო იყო, ახლა კი სრულიად თავდაყირაა განათლების სფერო, რასაც ჯერჯერობით არაფერი ეშველა! ჩემი სწავლის პერიოდშიც, მხოლოდ ორი ფურცელი ჰქონდა დათმობილი გეორგიევსკის ტრაქტატს, საერთოდ, არავინ ლაპარაკობდა გიორგი მე-12-ზე, მის მეუღლეზე, რა მოხდა, რატომ ვთხოვეთ ჩვენ თვითონ

რუსეთს, რომ არ გვინდოდა დამოუკიდებლობა და გვერჩინა, მათი გუბერნია ვყოფილიყავით! ისტორია რომ არ ვიცით, ამიტომ გვეონია, რომ რუსეთმა აშენებული ქვეყანა დაგვიპყრო 1783 წელს. რეალურად კი, ერეკლე მეორეს რომ რუსეთის იმპერიასთან ხელისმოსადადგენია, აქვთ ოსმალების და იქით სპარსეთის იმპერია რას დაგვმართებდა!

მინდა ყველამ იცოდეს, რომ 1783 წელს, საქართველო იყო სრულიად დანაწევრებული, ყველა რეგიონი, რასაც დღეს გაერთიანებული საქართველო ჰქვია, იყო დაყოფილი ცალ-ცალკე. 1801



წელს კი უკვე საქართველო გაერთიანდა და იცით, ვინ გააერთიანა?! - რუსეთის იმპერიამ! გვიანდა თუ არ გვიანდა ჩვენ, ეს არის ფაქტი, რომელიც უნდა დავინახოთ, ვთქვათ და ვაღიაროთ! უნდა ვასწავლოთ, პირველ რიგში, სკოლებში ჩვენი ქვეყნის ისტორია, რადგან თუ თაობებს რეალური ისტორია არ ვასწავლეთ, შემდეგ მათ უკვე უცხო ქვეყნები „ასწავლიან“ ქვეყნის გეოგრაფიას!

ჩვენმა პოლიტიკოსებმა კი მართლმე-20 საუკუნის გეოპოლიტიკა კი არ უნდა ისწავლონ, სულ მცირე 200 წლის წინანდელ გეოპოლიტიკას უნდა გადახედონ, რა სიტუაციაში ვიყავით, რა გამოვიარეთ და სადამდე მოვადით! დღეს რომ ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტზე გვაქვს ამბიცია, ამაზე საერთოდ ლაპარაკიც არ იქნებოდა, შეიძლება ქართულ ენაზეც აღარ გვესაუბრა, მეფე ერეკლე რომ არ გვეყოლოდა! ის, რომ დღეს ჩვენ დასავლეთს პრეტენზიებს ვუყენებთ და, საერთოდ, ვარსებობთ, სწორედ მეფე ერეკლეს დამსახურებაა!

- ამერიკის ელჩმა თავისი მოქალაქეები არჩევნების შემდეგ მოსალოდნელი არეულობის შესახებ გააფრთხილა. ანუ მათ წინასწარ იციან სცენარი, რომელიც 26 ოქტომბრის შემდეგ უნდა განვითარდეს?

- არც ამერიკიდან და არც ევროპიდან კარგს არაფერს ველოდები, მაგრამ მასსოვს, რომ 2008 წლის ომი დროსაც კი არ მოუწოდებიათ თავიანთი თანამემამულეებისთვის სიფრთხილისკენ. ძალიან კარგად ვაცნობიერებ, თუ რა ამაზრზენი

დამოკიდებულება აქვს ჩემი სამშობლოს მიმართ ბიდენის ადმინისტრაციას და სიმართლე გითხრათ, ასე შერცხვენილი და გაფრთხილებული არ მასსოვს მათი ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიმძლავრით არის ამუშავებული საინფორმაციო ფსიქოლოგიური ოპერაციების ცენტრი ჩემს სამშობლოში და ამერიკის დიდ გავლენას ვხედავთ ადგილობრივ მედიაზე, მათ ვერ შეძლეს ქართველი ხალხის ისე დაბოლოება, როგორც ამას უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ახერხებდნენ!

იქ, სადაც აქვთ ემპეინისა და პი დიდის ქეისი აქვთ, რომელიც არ იარსებებდა, რომ არა აშშ-ის

ხელისუფლებაში ამ საკითხის მფარველობა და გულგრილობა, სირცხვილის გამო არ უნდა ბედავდნენ საქართველოს არც შიდა და არც საგარეო საქმეებში ჩარევას! მათ არ მოსწონთ, რომ „ქართულ ოცნებას“ ჰყავს ამომრჩეველთა და მხარდამჭერთა უდიდესი არმია, არ მოსწონთ, რომ ქართველი ხალხი აზროვნებს და ირჩევს მას, რაც მისთვის მნიშვნელოვანია - მშვიდობას! მათ, ზოგადად, ქართველი ხალხი არ მოსწონთ და სჭირდებათ მხოლოდ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, რუსეთის წინააღმდეგ გამოსაყენებლად! უკაცრავად და, ის რაც მათ უნდათ, ჩვენს ინტერესებს არ ემთხვევა!

მიემართავ ქალბატონ დანიანს: ჩვენი არჩევანის დაცვის ბერკეტები ჩვენს ხელშია და თქვენი უსუსური ჩარევა თქვენვე არ მოგიტანთ ხერხს! თქვენ დაარღვიეთ საელჩოს მნიშვნელობის ყველა პრინციპი და ყველა ჩარჩოდან გახვედით! შევასხენებთ, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, სახელმწიფოა და არ უნდა მისცეთ თავს უფლება, რომ ის აშშ-ის შტატ ჯორჯიაში აგერიოთ!

საზოგადოებას კი კიდევ ერთხელ შევახსენებდი, რომ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებაში თითოეული ჩვენგანის როლი მნიშვნელოვანია, თითოეული ჩვენგანი დღეს სახელმწიფოს ქმნის და ვალდებულია, მცირედი წვლილი შეიტანოს ქვეყნის კეთილდღეობაში. ეს ამ უტაპზე 26 ოქტომბრის არჩევნებზე მისვლით და საჭირო არჩევანის გაკეთებით უნდა დავადასტუროთ!

ნონა ქარქაშაძე





გვესაუბრება პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი თამარ კობახიძე:

— ქალბატონო თამარ, საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?

— არჩევნებს რაც უფრო ვუახლოვდებით, მით უფრო იძაბება ვითარება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ საარჩევნო კამპანიას მხოლოდ „ქართული ოცნება“ აწარმოებს, ოპოზიცია კი უცხოეთში ქვეყნის ლანძღვით არის დაკავებული. დასავლეთიდან და ოპოზიციიდანაც წინასწარ ისმის რიტორიკა არჩევნების გაყალბების თაობაზე. ისეთი ვითარებაა, ყველა 27 ოქტომბერს ელოდება და არა 26-ს, რადგან დესტაბილიზაციისთვის ემზადებიან.

ლიან, ოპოზიცია არ ატარებს ტიპიურ საარჩევნო კამპანიას, რაც ამომრჩეველთან შეხვედრებს და პროგრამების წარდგენას ითვალისწინებს. ამაზე ყოველთვის თამარ ჩერგოლეიშვილის სიტყვები მახსენდება: გიგა ბოკერიას სულაც არ სჭირდება ქვეყნის შიგნით მხარდაჭერა, რადგან მას დასავლეთი უჭერს მხარს. დასანანია, როცა ლეგიტიმაციას უცხოეთიდან იღებ და არა საკუთარი ხალხისგან. ზოგადად, ბოლო დროს პროცესები ძალიან აღრუულია. ავიღოთ თუნდაც დასავლეთი, რომლის ხელისუფლებები ხალხის მოთხოვნებს არ პასუხობენ. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო ხანს დასავლეთში მემარჯვენე ორიენტაციის, ტრადიციული ფასეულობების მატარებელი პარტიების რეიტინგი იზრდება. დასავლეთში ჩატარებულ უკანასკნელ არჩევნებს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ აქტიუობა იზრდება. მიზეზი ის არის, რომ საზოგადოება წუხს იმ დღის წესრიგის, ფასეულობების გამო, რასაც იქაური ელიტა სთავაზობს.

— აშშ-მა საკუთარ მოქალაქეებს სკანდალური იმეილები გაუგზავნა, სადაც მათ 26 ოქტომბერს სიფრთხილისკენ მოუწოდებს...

— ამკარაა, რომ არეულობა იგვემება, დემოტა გადაგვარჩინოს ამ კატაკლიზმებისგან. დესტაბილიზაციის მოწყობის მიზნით უცხოეთიდან დიდძალი ფინანსები შემოდის. აღნიშნული განცხადებებიც ამას მოწმობს. ჯერ არჩევნები არ ჩატარებულა და დასავლეთი უკვე გვაფრთხილებს, რომ ხმა აუცილებლად ოპოზიციას უნდა მივცეთ!!! ყველამ ვიცით, რომ ოპოზიციას რეიტინგი არ აქვს. ეს პირდაპირ საშინაო საქმეებში ჩარევაა. გარდა იმისა, რომ საარჩევნო კამპანიაში უხეშად ერევიან, ვენის

კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლის ნორმები ირღვევა. მით უმეტეს, მაშინ, როცა საუბარია ყოფილი თუ მოქმედი ელჩების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაზე. საერთაშორისო დიპლომატიური სამართალი აღარ მუშაობს — ჩვენს საშინაო საქმეებში ყველა უცერემონიოდ ერევა.

— დასავლეთი მოგვიწოდებს, ან ევროპა აირჩიეთ ან — რუსეთით...

— რუსეთის თემა ყოველთვის ტექნოლოგიურად არის მოწოდებული. საკუთარ თავზე გამოვცადე — როცა ქვეყნის სასარგებლოდ ლაპარაკობ, გეუბნებიან, რომ რუსეთზე ხარ. არადა, რუსეთზე არავინ არის, უბრალოდ, ამ ხალხს თავისი ქვეყანა უყვარს. აქ ლაპარაკია აქსიოლოგიურ დაპირისპირებაში ვცხოვრობთ. ჩვენ შეგვიძლია რეგიონში სამეზობლოსთან ნორმალური ურთიერთობა დავამყაროთ. რასაც დასავლეთი გვაიძულებს — დექორატიანიზაციას, ეს ერისთვის ძალიან ცუდია. ასე არ გამოვა, რადგან ტრადიციულად, მართლმადიდებლობა ყოველთვის საქართველოს გადარჩენის, იდენტობის შენარჩუნების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. სწორედ ამისთვის სწორად ჩვენი წინაპრები თავს.

— ჰერინსკიმ განაცხადა, თუ უმცირესობების უფლებებს არ დაიცავთ, საქართველო ევროკავშირის წევრი ვერასდროს გახდება...

— პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში დისკრიმინაციაზე ლაპარაკი არ არის. ნებისმიერი ადამიანის უფლებები დაცული უნდა იყოს, მაგრამ აქ საუბარია პროპაგანდაზე და ახალგაზრდების ამ სულისკვეთებით აღზრდის აკრძალვაზე. მე გენდერის სპეციალისტი ვარ და კარგად ვიცი, ასეთი დევიაცია რასაც ნიშნავს, არადა, მიგვითითებენ, რომ თურმე, ეს ნორმალური მდგომარეობაა. გაცილებით მეტი შემთხვევა სოციალიზაციის შედეგად არის მიღებული, ვიდრე დაბადებიდან დევიანტები. გადავხედოთ, რა სურათი გვაქვს ამ მხრივ დასავლეთში — სოციალიზაციის შედე-

განვე მოგვედევს. ზოგადად, მართლმადიდებლობა არის რელიგია, რომელიც ადამიანის ცხოვრებას ათი მცნების მეშვეობით არეგულირებს და მას ადამიანად აქცევს. დასავლეთი რას გვთავაზობს? — ადამიანი გაცხოველდეს და მხოლოდ ინსტინქტებით იცხოვროს, სექსით დაკავდეს და ზნეობრივი, მორალური ფასეულობები აღარ ჰქონდეს.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად შეცვალა დასავლეთის მიერ საქართველოში წარმოებულმა პოლიტიკამ საზოგადოებრივი განწყობები?

— იმ პოლიტიკამ, რომელსაც დასავლეთი ჩვენთან მიმართებით აწარმოებს, ბევრი ადამიანის განწყობა შეცვალა. ხალხი დასავლეთის მიმართ ისეთივე ზბოს აღტკინებით, როგორც აქამდე იყო,

ლიბერტარიანიზმი და ულტრა-ლიბერალიზმი ადამიანებისთვის დამღუპველია. ერი ამის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს. ძალიან დიდი იდეოლოგიური სამუშაოა ჩასატარებელი. რაც მთავარია, უპირველესად, განათლების სისტემაში არსებული პრობლემები უნდა აღმოფხვრას, რაც სოციალიზაციის მძლავრი მექანიზმია. საგანმანათლებლო კუთხით საგალალო მდგომარეობაა. ამ მიმართულებით გააზრებული, შედეგზე ორიენტირებული, აქტიური მუშაობაა საჭირო.

— თუ არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, ევროპა ღიად ვიზალიზირდება თუ შეჩერდება გვემუქრება. რაზე მიუთითებს ეს ყოველივე?

— ევროსტრუქტურებში გადაწყვეტილება კონსენსუსის

დასავლეთი ქართველი ერისთვის მიუღებელ დეპრისტიანიზაციას გვაიძულებს

რებაზე. ის ფასეულობები, რასაც დღეს დასავლეთი გვთავაზობს, ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომელიც საკუთარ მომავალზე ფიქრობს, მიუღებელი იქნება.

მივსალმები პარლამენტის მიერ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის მიღებას, რადგან, რასაც დასავლეთი გვთავაზობს, ეს საშინელებაა — სქესის შეცვლა, ფაქტობრივად, ადამიანის კასტრირების ტოლფასია. ხალხს ცხოვრებას უმახინჯე-

ულდა არის. გარდა ამისა, იქ ბევრი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. მათ შეილება აღზრდის პრობლემა დაუდგათ. ეს, შესაძლოა, იმის წინაპირობა გახდეს, რომ ბევრი ადამიანი საქართველოში დაბრუნდეს. ხელისუფლების ვალდებულებაა, რომ ეკონომიკური, სოცალური მდგომარეობა მეტად გამაასწოროს, რათა სამშობლოში დაბრუნებულ ქართველებს შესაბამისი პირობები შეუქმნას. საგარეო პოლიტიკა მრავალწლიად ქვეყნის კეთილდღეობას განსაზღ-

ვზით მიიღება. ჩვენთვის ვიზალიზირებულია შეჩერებაზე, მინიმუმ, სლოვაკეთი და უნგრეთი უარს იტყვიან. შესაბამისად, ამ გადაწყვეტლებას სისრულეში ვერ მოიყვანენ. ივანიშვილმა თქვა, რომ ყველაფრისთვის მზად არის. მმართველი ძალა არც სანქციებს უშინდება, რადგან ქვეყნის ინტერესებს ბევრად მაღლა აყენებს.

— პრეზიდენტი ტექნიკური მთავრობის შესაქმნელად ემზადება, მას უკვე პრემიერიც შეგულეული ჰყავს...

— მისი ფუნქცია ტექნიკური მთავრობის შექმნა კი არ არის, არამედ კრიზისულ სიტუაციაში დამარეგულირებელი უნდა იყოს. ეს ადამიანი თავის კონსტიტუციურ ვალდებულებებს აცდენილია. პრეზიდენტი მიუკერძოებელი უნდა იყოს, ამ დროს იგი მხარედ გვევლინება. მისი ქმედებები შეიძლება დესტრუქციის პროვოცირების საფუძველი გახდეს. იგი პირდაპირ ხელისუფლების დიკრეტაციით არის დაკავებული. ზურაბიშვილი სხვა ქვეყნის მოქალაქეა, აქ არ აღზრდილა და თან არც ქართული ინტერესების დამცველად გამოდგება.

— ბოლოს გვითხარით, რა შანსები აქვთ არჩევნებში არსებულ ოპოზიციურ კონფიგურაციებს?

— ყველაზე მეტი შანსი „ნაციონალურ ბლოკს“ აქვს. დანარჩენები მოცემული გაერთიანებებით ბარიერსაც ვერ ლახავენ. ამ პირობებში პრეზიდენტი რაღაც კოალიციებზე და ტექნიკურ მთავრობაზე ლაპარაკობს. არადა, გამოკვეთილად „ქართული ოცნება“ იმარჯვებს. დამატებით პროვოცირება ხელოვნურად ხდება. ყველაფერს აკეთებენ, რომ მაკეინის ინსტიტუტის ანგარიში სისრულეში მოიყვანონ. არეულობის მოწყობის მეტი, სხვა რა დარჩენიათ. ოპოზიციამ მშვენივრად იცის, რომ ლეგიტიმური არჩევნებით ხელისუფლებაში ვერ მოვა. იმედია, ჩვენი შესაბამისი სამსახურები საფრთხეების თავიდან აცილებას შეძლებენ.

— დავიწყეთ იმით, რომ ეს ლიბერალური საზოგადოება თავისი ქვეყნის მიმართ უპასუხისმგებლოდ იქცევა. ლიბერალიზმს გარკვეული საზღვრები აქვს. მას ნორმალური დონორებით დადებითი შედეგი მოაქვს. მეც, გარკვეულწილად, ლიბერალი ვარ, მაგრამ, როცა ლიბერალიზმი ულტრა-ლიბერალიზმში გადადის და ადამიანის არსებობას პრობლემას უქმნის, ეს საშინელებაა. ამიტომ



ბენ. გაეხსენოთ, რამ დანერგა, იგივე, რომისა და სხვა იმპერიები — სოციალურმა გახრწნილებამ. საზოგადოებას, რომელიც ასეთი ფასეულობებით საზრდობს, მომავალი არ აქვს. თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ, როგორმე ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნება უნდა შევძლოთ, რა თქმა უნდა, ახალი, თანამედროვე ინტერპრეტაციით. მართლმადიდებლობა ჩვენი იდენტობის ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულებაა. გარდა ამისა, დღეს პოლიტიკური პროცესები, საკრალურ ფასეულობებთან, რელიგიასთან უშუალო, მჭიდრო კავშირშია. მიმანია, რომ ხელისუფლებას მართლმადიდებლობის წინა პლანზე წამოწევა შემთხვევით არ დაუწყია, რადგან მართლმადიდებლობის აღიარებით, ამ სამყაროში, საშუალება გვეძლევა, გადავრჩეთ. აქვე უნდა გაეთვალისწინოთ, რა გარემოც-

ვად ასეთი ადამიანების რიცხვი გეომეტრიული პროგრესით იზრდება. საქართველომ თუ გადაწყვეტი ზომები დროზე არ მიიღო, შედეგი სავალალო იქნება.

— ახლანა აშშ-ის საელჩომ „ქართულ ოცნებას“ უსაყვედურა: რატომ აყენებთ ამერიკასთან ურთიერთობას ეჭვქვეშ „ისფედის“ მიერ დაშვებული შეცდომის გამო, რაც 1,8%-ს არ აღემატებოდაო...

— კარგად ვიცი, ლიდერი სახელმწიფო როგორ ახორციელებს მსოფლიოში თავის პოლიტიკას ინსტიტუციების, სამართლებრივი ნორმების, კულტურის, რბილი ძალის, ტექნოლოგიებისა და სხვა ბერკეტების გამოყენებით. ბოლო 32 წლის განმავლობაში ერი შეიცვალა, რაც საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს. ვიმეორებ, ჩვენ იმ ფასეულობების ერთგულნი უნდა ვიყოთ, რაც ოდით-

პინს გაღატაკების მოწყობას შეეცდება, ყველა მიუჯდება ან მიუწვება სააკაშვილს!



გვესუბრება „საზოგადოებრივი მართლმადიდებელი“ სამეურვეო საბჭოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ბონდო მინარაშვილი

ქვეს და „ძლიერი საქართველო“ დაირქვეს, მაგრამ ესეც ერთგვარი მანიპულაციაა ხაზარაძის მხრიდან. სინამდვილეში, ყველა „ლელოს“ სიაშია, ისე, როგორც სხვა პოლიტიკური ძალები არიან ერთ სიაში თავმოყრილი. მათ არა აქვთ უფლება, კოალიციად იწოდებოდნენ, რადგან კოალიციის შექმნა მხოლოდ პარლამენტში გასულ პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები იმის გამოც არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ წლეულს პირველი შემთხვევაა, როდესაც კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს აირჩევს არა ხალხი, არამედ ხმონების: 2024 წლის პარლამენტის წევრები, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები. პრეზიდენტის უფლებამოსილებები დიდად არ შეიცვლება, მაგრამ საბოლოო ჯამში, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ჩვენ მთლიანად საპარლამენტო მოწყობაზე გადავივართ. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ პოლიტიკური ძალები კარგად მომზადებულიყვნენ ამისათვის, თუმცა მათი მზაობა ჩვენ ვერ დავინახეთ. პოლიტიკურ აქტიურობას არჩევნებამდე 6 თვით ადრე იწყებენ, მანამდე კი მხოლოდ დესტრუქციული ქმედებებით, აგრესიით, ვგირილითა და წივილ-კივილით გამოირჩევიან, რაც ამომრჩევლისთვის მიუღებელია და საბოლოოდ, რადიკალების მარცხს იწვევს.

რაც შეეხება ხელისუფლებას, მას არ აქვს იმის კომფორტი, რომ მოდუნდეს, თუნდაც ოპოზიციის გამუდმებული დესტრუქციის, საბოტაჟის, კრიტიკისა და თავდასხმის გამო. მმართველ გუნდს აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა და მუდმივ პროცესშია: აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი კანონების მიღება, კომიტეტებში მუშაობა და ა. შ. სამაგიეროდ, ოპოზიციური პარტიები გაზარმაცდნენ და შედეგად, ვხედავთ, რომ მათ, ელემენტარულად, საარჩევნო კამპანიის წარმართვაც კი არ შეუძლიათ.

- ფაქტობრივად, დღემდე მათი პროგრამაც არაფერს უნახავს, თუ

„დაპირებულ“ 14 მილიარდს და 1000 ლარამდე გაზრდილ პენსიას არ ჩავთვლით.

- ეს ყველაფერი ტყუილია, გამორიცხულია, რომ ასეთი დაპირებები ნორმალურმა პოლიტიკოსმა გასცეს, რასაც ჩვენ ვაშაძის და „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ვხედავთ. 2012 წლის 9-მილიარდიანი სახელმწიფო ბიუჯეტი დღეს არის 29 მილიარდი, ანუ, ამ დროის განმავლობაში ქვეყნის ბიუჯეტი 20 მილიარდით გაიზარდა. ასეთივე ზრდა იქნება შესაძლებელი მომდევნო წლებშიც. ეს ყველაფერი პირდაპირ აისახება როგორც სოციალურ, ასევე ახალ ეკონომიკურ პროექტებზე, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას და ფერმერული მეურნეობების მოწყობას. ამიტომ მთავარია, მოსახლეობამ აქცენტი გააკეთოს მშვიდობასა და სტაბილურობაზე, რადგან მხოლოდ ამით მიიღწევა ის კეთილდღეობა, რაზეც მმართველი პარტია საუბრობს. სადაც ომია, იქ კეთილდღეობაზე არაფერი ფიქრობს, იქ მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობენ. ჩვენ კი დღეს გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ საქართველო მეტად განვითარდეს და რეგიონში მოწინავე პოზიციები დაიკავოს, თუნდაც ისეთი, როგორც ჰქონდა 35 წლის წინ, მაგრამ ამისათვის, უპირველესად, გონიერი პოლიტიკის წარმოებაა საჭირო. მე კი ოპოზიციამ გონიერებას ვერ ვხედავ!

ამიტომაც, არჩევანის გაკეთება რთული არ არის. რთულ მდგომარეობაში არის ახლა რადიკალური ოპოზიცია, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს, როგორც „საერთაშორისო მხარდაჭერებით“ მოახდინოს გავლენა არჩევნების შედეგებზე. არაფერი გამოუვათ! - არც ევროკავშირის ელჩს, არც ამერიკის ელჩს, არც გერმანიის ელჩს და არც სხვას! გამორიცხულია, რომ საქართველომ მათი მითითებებით მიიღოს გადაწყვეტილება. რადიკალებს მხოლოდ იმის მოლოდინი აქვთ, რომ დამარცხების შემდეგ დესტაბილიზაციის მცდელობებით მიიღწევენ რაიმე შედეგს. აქედანაც არაფერი გამოვა, რადგან ჩვენ

გვყავს სათანადოდ მომზადებული სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც დესტაბილიზაციის მოლოდინში კიდევ მეტად მოტივირებულები არიან ქვეყანაში მშვიდობის შესანარჩუნებლად!

- ამ დროს ოპოზიცია ამბობს, რომ მმართველი გუნდი ხალხს ომით აშინებს და ასე ცდილობენ არჩევნებზე სასურველი შედეგის მოპოვებას...

- ომით საქართველოს მოსახლეობის შემინება, პრაქტიკულად, შეუძლებელია და არც გვჭირდება, რადგან ეს ომები ჩვენს თვალწინ მოხდა და საკუთარ თავზე გადავიტანეთ. ასე რომ, ყველამ

ქვეყანა ვართ, მაგრამ ჩვენი დიდი ისტორიაც ვერაფერს გვიშველის, თუკი საქართველო დიდმა ქვეყნებმა საომარ ლელოდ გადააქციეს. ეს უნდა გავაცნობიეროთ.

- ცოტა ხნის წინ პრეზიდენტმა ე. წ. სამოქმედო გეგმა, „ქართულ ქარტია“ წარმოგვიდგინა. ახლა კი, როგორც აღმოჩნდა, თურმე სალომე ზურაბიშვილის უკვე პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი შეურჩევია და მთავრობასაც აკომპლექტებს...

- „ქართული ქარტია“, რომელიც სალომე ზურაბიშვილმა წარმოადგინა, სინამდვილეში უცხოეთიდან ჩამოტანილი სამოქმედო



ძალიან კარგად იცის, რა შეიძლება მოჰყვას საომარი მოქმედების დაწყებას საქართველოში, მით უფრო, რომ ბოლო 2-3 წელიწადში უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა გვაჩვენა, რა შეიძლება დაემართოს ქვეყანას, რომელიც საომარ მოქმედებებშია ჩართული. დასავლულ რადიკალურ ძალებს რუსეთისთვის ცეცხლოვანი რკალის შემორტყმა უნდათ და სწორედ ამიტომ უნდა ვიფიქროთ უპირველესად იმაზე, რომ ქვეყანაში არ გაჩნდეს ომის საფრთხე. თუ რადიკალები ჩაიგდებენ ხელში ქვეყანას, რამდენიმე დღეში თუ არა, სულ რამდენიმე კვირაში, საქართველო ცეცხლის ალში გაეხვევა და ამან შეიძლება საქართველოს სახელმწიფოებრიობას სერიოზული საფრთხე შეუქმნას. დიდი ისტორიის მქონე პატარა

გვემაა. სწორედ ამიტომ მიცუნცულდნენ მასთან ჩვენი რადიკალები და დოკუმენტს ხელი მოაწერეს. ტექნიკურ მთავრობას არც ერთი პოლიტიკური ძალა არ ეთანხმება. კოალიციური მთავრობის შექმნა საქართველოს პარლამენტში საერთოდ არ გულისხმობს ტექნიკურ მთავრობას. სალომე ზურაბიშვილის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არის კონსტიტუციიდან გადახვევა, მისი „ქართული ქარტია“ ნიშნავს, რომ საქართველოში კონსტიტუციის მოქმედება უნდა შეჩერდეს. ტექნიკური მთავრობის შექმნა ნიშნავს ასევე, რომ, როგორც კი არჩევნები ჩატარდება, გაუქმდება ის კანონები, რომელიც მიიღო საქართველოს პარლამენტმა. აქ იგულისხმება უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის და ლგბტ პრობაგანდის აკრძალვის შესახებ კანონები.

ასეთი ნაბიჯი 1992 წელს გადადგა მაშინდელმა სამხედრო საბჭომ. შედეგად, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, რაც მანამდე, 1991 წელს გამოცდა, ყველა საკანონმდებლო აქტი ანულირებულად გამოცხადდა. ამიტომ, რასაც ახლა აცხადებენ, ეს არის საკონსტიტუციო გადატრიალების მცდელობა. როცა სალომე ზურაბიშვილის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება, ის თავის სამშობლოში, საფრანგეთში დაბრუნდება, პოლიტიკურ ძალებს კი, მათ





გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქარტიანი

- ბატონო დავით, ამერიკის საელჩო ბოლო დროს სოციალურ ქსელებში მოწოდებებით გამოიჩინა...

- ჩვენს საარჩევნო კამპანიაში პოლიტიკურ სუბიექტად შემოვიდა ორი ძალიან საინტერესო მოთამაშე - აშშ-ისა და ევროკავშირის საელჩო...

ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში არსებული კანონმდებლობით, მათ უცხო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა ეკრძალებათ...

თუ ამ 12 წლის განმავლობაში იგივეს ჩუმად, კულუარულად აკეთებდნენ...

უკვე დაუფარავად განაგრძეს ის საქმე, რასაც ამ ხნის განმავლობაში ფარულად აკეთებდნენ...

დღეს ვხედავთ გაშმაგებულ აქტიურობას პაველ პერჩინსკისა თუ შტატების საელჩოს მხრიდან...

ქვეყანა, რომელიც კონგრესის შედეგად საქართველოში მიხვალა ირჩევს, საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს ვერ დაგვიწინებს!

თველოს მოსახლეობის უმრავლესობა და ხელისუფლება ამ ყველაფერს...

- „დაუძინებელმა შეგობრებმა“ კიდევ ერთხელ მოგვიწოდეს დემოკრატიისკენ და შეგვახსენეს...



- პირველ პლანზე ამ საარჩევნო ფინიშის პირისპირ გამოვიდა აშშ-ის საელჩო...

ყოფილმა ომბუდსმენმა ლომჯარიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ერთ-ერთი ტელევიზიის აკრძალვასთან დაკავშირებით...

- ნახეთ ალბათ, რომ ზელენსკი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინეს!

- დიას, ასეთია მათი გაუკუღმართებული სამყარო. ეს არის სამყარო, სადაც ტრანსგენდერობაში გამოაცხადეს ქვეყნის სულიერებად...



წესით, რაც რამდენიმე დღის წინ ვიხილეთ პოლიციის მონაწილეობით! ეს ის სამყაროა, რომელიც, რაც შეიძლება შორს უნდა იყოს ჩვენგან...



დღესაც ერთი კვირის წინ გამართულ ტრანსგენდერების შოუს. - სულ მაინტერესებს, როგორ იცლის ამერიკა ამ პატარა ქვეყნისთვის...

ბოლო 20 წლის განმავლობაში, საქართველოში სწორედ რომ ამ შავნული ძალების დესანტირება მიმდინარეობდა...

მთელ პლანეტაზე. საქართველოში ამ ყველაფერს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს და, რა თქმა უნდა, ამერიკა ყველაინარად ცდილობს...

ჩვენ ბრძოლა გამოვუცხადეთ ლგბტ პროპაგანდას კანონის ძალით და გვაქვს მზაობა, რომ ეს აკრძალვა კონტიტუციაშიც

საქართველოში მიხვალა ირჩევს, საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს ვერ დაგვიწინებს!



შევიტანოთ იმ შემთხვევაში, თუკი საკონსტიტუციო უმრავლესობით იქნება მხარდაჭერილი „ქართული ოცნება“ მე-11 მოწვევის პარლამენტში...

ფსევდოლიბერალიზმი - ეს საკასობრიო ბარყვნილება, მთავრდება



„საერთო გაზეთის“ სტუმარიანი კინორეჟისორი გიორგი ბიჭიაშვილი

— ბატონო გოგა, არჩევნებამდე სამი კვირა რჩება. რა არჩევანის წინაშე დგას ქართველი ხალხი 26 ოქტომბერს?

— გურულები სუფრას მშვიდობის სადღეგრძელოთი რომ იწყებდნენ, ამას ადრე იუმორით უყურებდნენ, არადა, თურმე როგორი მნიშვნელოვანი ყოფილა. დააკვირდით, რა ხდება ჩვენს სამეზობლოში — ყველგან ომია გაჩაღებული. მაღლობა ღმერთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის ცხელი ფაზა ამოწურულია. თუმცა, საბოლოოდ, მშვიდობა მიღწეული ჯერ მაინც არ არის. აქეთ რუსეთ-უკრაინის ომი მძვინვარებს, ახლო აღმოსავლეთში კი უბედურება ტრიალებს. მთელ რეგიონში ერთადერთი მშვიდობის პატარა კუნძული საქართველოა, რაც დიდი მიღწევაა. მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზეა. „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი მიღწევა ის არის, რომ საქართველო ომის კატასტროფას გადაარჩინა.

სახეზეა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა. ყველა ობიექტური საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევებში საქართველო წამყვან პოზიციებზეა. რა თქმა უნდა, იდეალური სიტუაცია არ გვაქვს, თუმცა ქვეყანა ვითარდება. ასე რომ არ იფოს, სერიოზული მიღწევები ვერც სპორტში გვაქვს და ვერც კულტურაში. პარალიმპიადებზე ჩვენი სპორტსმენების წარმატება, რაც დიდ ყურადღებას მოითხოვს როგორც ჯანდაცვის, ისე საეარჯიშო პირობების ხელშეწყობის კუთხითაც, სამაგალითოა. ამიტომ, ჩემი აზრით, ის არჩევანი, რაც ქართველმა ხალხმა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით უკვე რეაგირ გამოხატა, დამსახურებულია. 26 ოქტომბერსაც, მსოფლიო ომის პარტიის ადგილობრივი აგენტურა გამანადგურებელ მარცხს იწყენებს.

ეს ისტერია, ნამდვილი პოლიტიკური შიზოფრენია, რასაც აშშ-იდან თუ ევროკავშირიდან ვხედავთ, განსაკუთრებით მათი ელჩების შესრულებით, სამარცხვინოა, აღარ იცან, რა ქნან, პირიდან ღუფი გადმოსდით. ეს იმის დასტურია, რომ გრძნობენ, მათ აგენტურას, ოპონიციად წოდებულს, ქართველი ხალხი გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებს.

— არჩევანი დგას ომსა და მშვიდობას შორის, თუმცა დაუძინებელი მეგობრები გვეუბნებიან,

არჩევანი დასავლეთსა და რუსეთს შორის უნდა გააკეთოთ...

— რას ნიშნავს დასავლეთი?! — ეს არის უწინგურების, ბეცების მოგონილი ტერმინი... სახეზეა ევროატლანტიკური ჭაობი, აბსოლუტურად გარყვნილი, დეგრადირებული ჩინოვნიკური ბიუროკრატიული ერთობა. ევროპულ კულტურას, მის წარსულსა და აწმყოს, ქრისტიანულ ცივილიზაციას სოლოში ნუ ავურევთ. ხომ ხედავთ, რა ხდება აშშ-ში, სკანდალი სკანდალს მოსდევს, კორუფცია, გარყვნილება და სრული პიროვნული და საზოგადოებრივი დეგრადაცია. რაც რეპერ პაფ დედის უკავშირდება, ყველამ ყველაფერი იცოდა, ამ ორგანიზაციაში უმადლესი რანგის პოლიტიკოსები და ეგრეთ წოდებული ელიტა მონაწილეობდნენ. დღეს ბაიდენის ადმინისტრაცია ერთი დიდი ორგანოა. ევროკავშირთან დაკავშირებულ სკანდალებზე აღარაფერს ვამბობ — ევრობიუროკრატების სახლებიდან ფულები ყუთებით გამოაქვთ.

ჩვენ კავკასიელები ვართ. ჩვენ ევროპაში წასასვლელი არაფერი გვჭირს. ევროპა აქედან გავრცელდა. მეცნიერები თეორიას კავკასიელებად მოიხსენიებენ. ცივილიზაციის აკვანი სწორედ კავკასიაში დაირწა. ნოეს კიდობანი ურარტუს მთებს მიადგა. ჩვენ მისი შვილებიდან ერთ-ერთის შთამომავლობა ვართ — იაფეტიდები. ევროპული კულტურა, ცივილიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ქრისტიანული კულტურა, რომლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი საქართველოა. ევროატლანტიკელმა ჩინოვნიკებმა — ფიშერებმა, დეგნანებმა, დანიგანებმა, ჰერჩინსკებმა და სხვებმა, ევროპულ ევროატლანტიკურ იდეალებს უღალატეს. მათ ჩვენთვის სათქმელი არაფერია აქვთ. პირიქით, ჩვენ უნდა ვკითხოთ: რატომ დალატობენ ასე სამარცხვინოდ თავიანთ ფასეულობებს, წარსულს, საკუთარ ხალხებს ამ უმსგავსო ქვეყნებით?! რატომ არცხვენენ თავიანთ ხალხს ქართული საზოგადოების წინაშე.

ბებია პოლონელი მყავდა, მისგან ვისწავლე, რა არის ღირსება. პაველ ჰერჩინსკის განცხადებებს რომ ვუსმენ, მის მაგივრად მრცხვენია. პოლონელები ღირსებით არიან ცნობილი. ეს პერსონაჟი არცხვენს საკუთარ ქვეყანას. პოლონურ-ქართულ ურთიერთობებს წარჩინებული ისტორია აქვს. ერთ ფაქტს გეტყვით: ერთადერთი ხალხი, ვისაც პოლონეთის ჯარში ოფიცრობის უფლება ჰქონდა, ქართველები იყვნენ. ჩვენთან არსებული კათოლიკური ეკლესიები პოლონელების დაარსებულია. ეს გარემოება ქართველი და პოლონელი ხალხის ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებაა. საქართველო ყოველთვის მართლმადიდებელი ქვეყანა იყო, თუმცა ევროპელებს მუდამ პატივისცემით ვეპყრობოდით. ჰერჩინსკი კი, სამწუხაროდ, ამ ურთიერთობების შემარცხვენელია. იგივე ეხება გერმანიის ელჩ ფიშერსაც. როცა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ყალიბდებოდა, რომ არა გერმანელების მხარდაჭერა, შესაძლოა, ბათუმი დაგვეკარგა. მაშინ ჯარი აქედან რომ გადიოდა, მთელი შეიარაღება ჩვენ დაგვიტოვებდა. 90-იან წლებში საქართველოს მიმართ გერმანელი ხალხის მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ახლა კი მათი ვაი-ელჩი თავისი ქმედებებით საკუთარ ხალხს და ქვეყანას არცხვენს.

ამერიკის ელჩ დანიგანზე რაღა ვთქვათ! განცხადებამ, რომელიც საკუთარი მოქალაქეების მიმართ ამერიკის საელჩომ რამდენიმე დღის წინ გაავრცელა, 9 აპრილი გამახსენა, გენერალი როდონოვი და კომპარტიის ცეკა, საქართველოში სისხლისღვრას რომ გვიანოსხებდნენ. ზუსტად იგივეს აკეთებს დღეს ამერიკის საელჩო.

ჩემი მეგობარი კობა დავითაშვილი, რომელიც სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა შეიწირა (ამერიკელები დემოკრატიის შუქურას რომ უწოდებდნენ), ამბობდა: მოვა დრო და „იანკი,

გოუ ჰოუმ“-ს დავიძახებთო. მაშინ ამაზე გვეცინებოდა. მინდა დანიგანს მივმართო: იანკი, გოუ ჰოუმ! თქვენი ადგილი, საქართველოში აღარ არის. ამაში, ბუნებრივია, ვგულისხმობ ამ ზნედაცემულ ბიუროკრატებს და არა ამერიკელ ხალხს, რომელიც ბაიდენის ადმი-



ნისტრაციისგან არანაკლებ დაჩაგრულია. დეგნანებმა, დანიგანებმა, კრამერებმა, ბლინკენებმა, ბაიდენებმა, საკუთარი სახელმწიფოს ღირსება და დიდება დაუკარგეს.

— როცა ამერიკის ელჩებისა და პაფ დედის „ქეისები“ აქვს, ჩვენ როგორ უნდა გვასწავლიდნენ დემოკრატებს?

— ამერიკის გაზრწნილმა, დეგრადირებულმა ელიტამ, ან ბრიუსელმა რა დემოკრატია უნდა გვასწავლონ?! ბრიუსელის ფსევდოლიბერალურ ელიტას მინდა შევასხენო, რომ იქ 1959 წლამდე ადამიანების ზოოპარკები არსებობდა, რისი დამდასტურებელი ფოტომასალაც მაქვს. ერთ-ერთი ფოტო ვიოლა ფონ კრამონს და ურსულა ფონ დორ ლაიენს გაუგზავნე, სადაც ორი ბავშვი გალაში გამომწვევდნენ ზანგ ბავშვს ათვლიერებს! აი, ეს იყო მათი ფასეულობები. ჩვენ მათი სასწავლებელი არაფერი გვჭირს.

ამერიკა იყო და არის იმპერიალისტური ქვეყანა, სადაც დემოკრატია, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ მითია და ყველაფერი სიცრუეზეა აგებული. ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ატომური იარაღი გამოიყენა, იმდროისთვის უკვე დამარცხებული იაპონიის წინააღმდეგ. აღარ მოვეყვები, რა დაატრიალეს ვიეტნამში, ლაოსში, კამბოჯაში, იუგოსლავიაში, ერაყში, ავღანეთში... ყველგან სისხლის კვალი დატოვეს, სასიკეთო არაფერი გაუკეთებიათ.

— როგორ აფასებთ, აშშ-ისა და ევროპის ყოფილი თუ მოქმედი ელჩების საარჩევნო კამპანიაში დიად მონაწილეობას?

— საარჩევნო კამპანია მათთვის რეჟიმ ჩეინჯის პროექტია. ვერ გვაბატობენ, როგორ გაბედეთ თვითნებობა, საკუთარი ტრადიციებითა და რწმენით ცხოვრება. გამჭვირვალობის კანონზე გამოგვიცხადეს, დემოკრატიის

უკუსვლააო! ეს საბაბი იყო, მთავარი პრობლემა მათთვის „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონია. აი, რის გამო ამოფრინდნენ საცვლებიდან. ლგბტ პროპაგანდით მსოფლიოს იქვემდებარებენ, იპყრობენ და რყვნიან. პარიზის

ოლიმპიადის გახსნა, პაფ დედის სოლოში და უამრავი სხვა ფაქტი ამის დასტურია.

მაკრონმა, ევროკავშირი მოკვდებო, ევროპის საბჭომ — ჯულიან ასანჯი პოლიტპატიმარი იყო. აშშ-ს მიმართ, კანონი შეცვალეთ, რომელიც თავისუფალ სიტყვას საფრთხეს უქმნისო. რამდენი წელი გავიდა, ახლა გაახსენდათ კანონი და ის, რომ ასანჯი პოლიტპატიმარი იყო?! ის ხომ მხოლოდ იმისთვის დაიჭირეს, რომ მთელ მსოფლიოს ამერიკის დანაშაულების შესახებ ამცნო. ეს გახლავთ რეალური სურათი, თუ რა ხდება მსოფლიოში. ევროპაც ნელ-ნელა აზრზე მოდის. ყველა არჩევნებში ულტრამემარჯვენეები ლიდერობენ.

ასე რომ, მონური დამოკიდებულება და იმის ძახილი, რომ ევროპაში მივდივართ, უნდა დასრულდეს. ჩვენ საკუთარ სახლში ვართ და ისე უნდა ვიცხოვროთ, როგორც საუკუნეების განმავლობაში, წესით და რწმენით ვცხოვრობდით, ოდესღაც ევროპული განვითარებული ქვეყნებიც რომ ცხოვრობდნენ.

ცნობისთვის, გერმანიისგან განსხვავებით, რომელსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეცესია აქვს, ჩვენთან დღესათვის 10%-იანი ზრდაა. გერმანია და საფრანგეთი ის სახელმწიფოები იყო, რომელთა ფინანსურ შესაძლებლობებზეც იდგა ევროკავშირი. დღეს ყველა ვხედავთ, რა დღეშია ან ერთი, ან მეორე. ეს ევროკავშირის ბიუროკრატების უგუნური ფსევდოლიბერალური პოლიტიკის შედეგია.

პიტერ სტანოს, რომელიც გარყვნილების მქადაგებელია, ქართველმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, აქვს თუ არა საქართველოს უფლება, ევროკავშირში თავისი ტრადიციებით შევიდესო. სტანომ უპასუხა, ჩვენ ბევრი ქვეყნის ტრადიციები მოვიწვევთ და თუ ჩვენ



კლუბში შემოსვლა გინდათ, ჩვენი წესებით უნდა იცხოვროთო. ანუ, ქალი ქალი აღარ უნდა იყოს, დედა — დედა, შვილი — შვილი და ა. შ. მაგ წესებით სტანო და მისმა გარემოცვამ იცხოვროს. ჩვენ არ ვაპირებთ მაგ წესებით ცხოვრებას და არც იქ შესვლას, სადაც ასეთი უკულმართი წესებით ცხოვრობენ. ვისაც ეს სურთ, უვიზო მიმოსვლა კი გვაქვს და შეუძლიათ წავიდნენ და სტანოს გვერდით მიუწეონ.

პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ამ კანონზე ხელმოწერამ სტანოები, შოლცები, ობრაიანები ისე გააგიჟა, შემოტყვევის წარდგენა წამოვიდა. მაინც ვერ მოგვერევიან... ქართველი ვერ ყოველთვის დაიცავს თავის მამულს, ენას და სარწმუნოებას. ეს გარყვნილი, დეგრადირებული პოლიტიკური კლასი, დანიგანით დაწყებული, შაპინით, რომით და გრიშით დამთავრებული, ხერხემალს საქართველოზე გადაიმტკრევენ.

— მაკკინის ანგარიშში მოცემული სქემით თუ წარმართა პროცესი, რას უნდა ველოდოთ 27 ოქტომბერს?

— 1986 წლიდან მოყოლებული, საქართველოში უბედურება, გადატრიალება თუ რევოლუცია მოხდა, ყველაფრის მომსწრე ვარ. ყველაფერი გადაღებული მაქვს. კარგად მაქვს შესწავლილი და გაანალიზებული ეს მოვლენები. ფუჭია ამ არაშედეგის იმედები. არაფერი გამოუვათ. გვარამიას „წინამძღობით“ (რატი ამადლოზბელის ტერმინოლოგია) საქართველოში „კოდას“ მეფრინველეობის ფაბრიკაში ვერ მოახდენენ გადატრიალებას, პოლიტიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! სხვათა შორის, იქ ქათმებს მელიასიც აღარ ეშინათ. რევოლუციის მოწყობას შემსრულებლები სჭირდება, ბელადები! რომელი ჭკუათმყოფელი მონადირეებს დღეს საქართველოში ქვეყნის არევისა? ისევ თავისნაირ მანქურთებს თუ მოუყრიან თავს და მერე რა?! ვის რა უნდა... გვარამიებს, მელიებს, ხაზარაძეებს, ჯაფარიძეებს, კიკუებს და განარაგებულ ურჩევ. ფრთხილად იყვნენ — ისე არ ქნან, რომ სახლიდან ცხვირი ვეღარ გამოეყონ. ცეცხლთან თამაშს თავი დაანებონ. ეს პატიოსანი და მშვიდობისმოყვარე ქართველი ხალხი არ გადარიონ, ქუჩაში არ გამოიყვანონ, თორემ დანიგანს ვერ გაასწრებენ აქედან!

არჩვენებს დიდი უპირატესობით ქართველ ხალხს მოიგებს. საქართველო ჩვენი სამშობლოა. აშშ-ში დაზურულ შეხვედრებზე სადაზვერვო სამსახურებიდან დირექტივებს ვინც იღებს, თუ როგორ გაანადგურონ ქვეყანა, ამერიკის საკონსულოში ვიხილავთ აშშ-ის მოქალაქეობის მიღების მოტრფიალეების რიგში მდგომთ. მათგან განსხვავებით, ჩვენ არსად წასვლას არ ვაპირებთ. ჩვენ კავკასიელები ვართ, რაც გვეამაყება. ევროპაში ტყვეში კომპლექტით რომ დარბოდნენ, ჩვენ სახარების მიხედვით ვცხოვრობდით.

— თუმცა, დასავლეთი გვეუბნება, რომ თუ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, არჩვენებს არალეგიტიმურად ცნობენ...

— არალეგიტიმური არჩვენები, როგორც ჩანს, 5 ნოემბერს აშშ-ში იქნება. დემოკრატები ძალაუფლებას არაფრით არ დათმობენ, რადგან იციან, რომ არაერთ დანაშაულზე მოუწევთ პასუხისმგებლობას. არც ტრამპი და მისი მომხრეები და ამომრჩევლები დათმობენ საკუ-

ტია, რომელმაც ადგილობრივი არჩვენები მოიგო, გააუქმონ და ა. შ. ეს ფსევდოლიბერალური იდეოლოგიისა და ფსევდოდემოკრატიული, ე. წ. ევროს ატლანტიკური სივრცის კრაზი გარდაუვალია.

— როგორ შეაფასებთ „ქართული ოცნების“ განცხადებებს შერიგების პოლიტიკაზე?

— ორჯერ ვიყავი შერიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი. მინდა გითხრათ, რომ ცხინვალში მცხოვრები ოჯახების 80% ქართულ-ოსურია. ეს რას ნიშნავს? — საკუთარ ბიძაშვილთან ნაჩხუბარი რომ ხარ კაცი, ერთმანეთის სისხლი რომ დაეღვარეთ, ერთმანეთს ბოდიში არ უნდა მოეუხადოთ?! ოჯახში ყველაფერზე პასუხისმგებელი ოჯახის უფროსია.

შვილები, ბიძაშვილები, ერთი გვარის წარმომავლობის ხალხი თუ ერთმანეთს დაეჯახა, ვინ არის პასუხისმგებელი, ოჯახის უფროსი, ხომ? ასევეა, აფხაზეთშიც — 60-70% შერეული ოჯახები ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ. რა ვქნათ, როგორ გავარჩიოთ



თარ გამარჯვებას. ქუჩაში მასების გამოვლა, დიდი შეკრებები, საპროტესტო აქციები და დავიდარება ელჩმა დანიგანმა იქ ნახოს. რაც შეეხება ევროპას, არჩვენებში ყველა ულტრამემარჯვენეები იმარჯვენენ. ფსევდოლიბერალიზმი — ეს ზოგადსაკაცობრიო უბედურება, გარყვნილება და დეგრადირება დამთავრდა. ევროპელ ხალხებს კარგად ესმით, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ავსტრიაში საპარლამენტო არჩვენები ულტრამემარჯვენეებმა მოიგეს, საფრანგეთში — ლე პენის დაპატიმრება უნდათ, გერმანიაში ცდილობენ, პოლიტიკური პარ-

მტყუან-მართალი. ჩვენი საერთო სამშობლო ხომ საქართველოა! პირველებმა ჩვენ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა, ეს ხომ ცხადია. ჩვენს ძმებს, დებს, ბიძებს, დეიდებს, ბებიებს და ბაბუებს, ჩვენ მეგობრებს და თანამოქალაქეებს, ბუნებრივია, ბოდიში უნდა მოეუხადოთ და ასეც იქნება. რუსი და ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი აგენტურის გულის გასახეთქად, დარწმუნებით განვაცხადებ, ქართველები, ოსები და აფხაზები აუცილებლად შევრიგდებით, რადგან ჩვენ ერთი ოჯახი ვართ.

თამარ შველიძე



ვინს გადატრიალების მოწყობას შეეხება, ყველა მიუჯდება ან მიუწევა სააკაშვილს!

გზ.

შორის ქართველ რადიკალებს, მისი „სამოქმედო გეგმა“ სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის.

დავუშვათ, რომ ოპოზიციამ მოიპოვა საპარლამენტო უმრავლესობა, — რაში დასჭირდებათ მათ ტექნიკური მთავრობა, როცა კოალიციური მთავრობის შექმნა შეუძლიათ?! ეს მათ ძალიან კარგად აქვთ გაცნობიერებული. არც ხაზარაძე არც გვარამია-მელია, არც სააკაშვილი, არც გუბარია, არც პატრიოტთა ალიანსი, რომლებსაც 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შესაძლებლობა აქვთ, არ დათანხმდებიან ტექნიკური მთავრობის შექმნას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ შეუძლიათ შექმნან კოალიციური მთავრობა. ის, რომ შეიქმნება ტექნიკური მთავრობა ერთი წლით, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდება და შემდეგ კიდევ ჩატარდება არჩვენები — არის აბსოლუტური სისულელე! ამ არჩვენებში გვარამია-მელია 4,3 მილიონს ხარჯავენ, ხაზარაძე 2,5 მილიონს, ეს რაც ოფიციალურად ჩანს, და გიჟები არიან, თუკი საპარლამენტო კოალიციის შექმნის შესაძლებლობა მიეცემათ, სალომე ზურაბიშვილის დანიშნულ პრემიერ-მინისტრს და ტექნიკურ მთავრობას გადასცენ ძალაუფლებას, ერთი წლის შემდეგ კი კვლავ მილიონები დახარჯონ არჩვენებში?! პრაგმატულადაც ეს მათთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

„ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ კი, რა თქმა უნდა, სალომე ზურაბიშვილი ვერანაირ ტექნიკურ მთავრობაზე ვერ ილაპარაკებს და ვერც თვითონ დააკომპლექტებს მთავრობას. დარწმუნებული ვარ, ამის არც თავად სჯერა. მას, უბრალოდ, კონკრეტულმა ძალებმა ევროპიდან თუ ამერიკიდან, მისცეს კონკრეტული დოკუმენტი და უთხრეს, რომ ეს არის სახელმწიფო გადატრიალების სახელმძღვანელო. ამიტომ, წინასწარ საუბრობენ არჩვენების გაყალბებაზე, რომ მერე იყვირონ, გაყალბდაო და გადატრიალების მექანიზმი ჩართონ. ვიფიქრებ: არაფერი გამოუვათ, ვინც გადატრიალების მოწყობას შეეცდება, ყველა მიუჯდება ან მიუწევა სააკაშვილს!

— ბატონო ბონდო, არახალია, რომ სხვადასხვა მედიასაშუალებას სხვადასხვაგვარად აშუქებს მოვლენებს. ვიდრე არჩვენების საბოლოო შედეგები დაიდება, ალბათ, ამჯერადაც ოპოზიციური არხებზე ოპოზიცია „გაიმარჯვებს“, „სახე-

ლისუფლებო“ არხებზე კი — პირიქით. არადა, საზოგადოების განწყობაა უმნიშვნელოვანესი. რას ფიქრობს საზოგადოება?

— საზოგადოების უმრავლესობა დღეს მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“, რადგან მან ამ 12 წლის განმავლობაში, შეძლო და მოახერხა იმდენი, რაც არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ გაუკეთებია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. გარდა ამისა, რადიკალურმა ოპოზიციამ საზოგადოებას კარგა ხანია, აჩვენა თავისი უსახურობა და უგუნურება. საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უნდა აირჩიოს საქართველოს მოსახლეობამ და მისი გადასაწყვეტია, ვინ იქნება საქართველოს პარლამენტში. დილომში რომ უზარმაზარი რეზიდენტურაა ამერიკის საელჩოს სახით, ეს მათი გადასაწყვეტი არ არის.

რაც შეეხება მედიასაშუალებებს, ფაქტობრივად, საქართველოში აღარ არსებობს მიუკერძოებელი მედია, თუ არ ჩავთვლით „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, რომელსაც მიუკერძოებლობას კანონმდებლობა ავალდებულებს! ყველა სხვა ტელევიზია არის მხარე. ოღონდ პოზიციონირებენ ისე, როგორც დამოუკიდებელი მედიასაშუალებები. ესენი არიან ჩვეულებრივი პარტიული პროპაგანდისტული განყოფილებები, სადაც შურნალისტის პროფესიის დისკრედიტაცია ხდება.

მე მინდა ვთხოვო შურნალისტებს, მაქსიმალურად თავშეკავებულად გააშუქონ წინასაარჩევნო თუ პოსტსაარჩევნო პერიოდი და არ გახდნენ ვილაცის ხელში ინსტრუმენტი, რამაც შეიძლება ეს პროფესია კიდევ მეტად დააზიანოს, საზოგადოების თვალში დააკნინოს და გაანულოს შურნალისტის რეიტინგი. დღეს თუ ხვალ, ეს ჩვენ მიერ შექმნილი პოლიტიკოსები პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრებიან, პასუხისმგებლობის ტვირთი კი შურნალისტებს დაგვრჩება, თუკი ისინი ქვეყანას უმტრობენ და დააზიანებენ. ისეთ ხალხს არ უნდა გაუწიოთ პროპაგანდა, რომლებმაც შეიძლება საქართველოს ინტერესები უცხო ქვეყნების თუ დაჯგუფებების ინტერესებს ანაცვალონ. იმედია, მედიასაშუალებები მეტად გაიზარებენ პასუხისმგებლობას და საქმეს პროფესიონალურად მოეკიდებიან.

ნონა ქარქაშაძე

„სრულიად ჯოჯოხეთი“ და „სრულიად სამოთხე“



თემატიკა საქართველოს მემკვიდრეობა

შემოდგომის ზომიერმა საღამომ რედაქციიდან ვაგზლამდე ფეხით გასეირნებისკენ მიბიძგა და გაუფრთხილ ვახაგანში გართული დიდად არ ვჩქარობდი, მე ზომიერ ჩემი სამარშრუტო ტაქსი გვიან ღამეებზე ბოლო გაჩერებაზე მელოდება. გარინდულ წერეთლის გამზირზე გადასასვლელზეც დინჯად გადავყვირებ, თითქმის აღარ იყო გამოვლენილი მანქანები. უცნაური ხმა მომესმა. ინსტიქტურად ავხედე აკაკი წერეთლის ძეგლს და რას ვხედავ, ვილაყ შემომჯდარა აკაკის ქნარზე და ხმით მოსთქვამს. ახლოს მივედი, ვიფიქრე, მეჩვენი-მეთქი და ვხედავ, კი, ნამდვილად მოსთქვამს, მაგრამ ცრემლებს კუდის ფორმით იწმენდს.

— აქ რამ ჩამოგიყვანა, ვაგზლის ბოზებმა ვედარ გაგართყს? — არცთუ აგრესიულად ვუთხარი.

— ვერა, ახლა ვლადიმერ ლევი მართობს, ფიქრებზე ვნადირობ და თან ვტირი, — მიპასუხა წყნარად, თუმცა მარცხენა ღრჯოლი მაინც დაუწინა, ჩაიღიმა.

— ინადირე, — მივუგდე და გზის გაგრძელება დავამჩიე, მაგრამ ჩამოხტა, ხელკავი გამიკეთა და დაამქანა, ცოტა ხანი ვილაპარაკეთით.

— რაზე ვილაპარაკოთ, ზომიერი, რომ რედაქციიდან მოვდივარ, დაღლილი ვარ, მშია, მწყურია...

— ვისაუბროთ შიმშილზე, წყურვილზე, ჯოჯოხეთზე, სამოთხეზე, ორსახოვან იანუსზე, საქართველოზე... სულაც, ლევიზე ვილაპარაკოთ...

— ლევი მათეზე?

— რა ლევი მათე, ქრისტეს მოწაფეები მე რაში მეკითხება, მით უმეტეს, ვეანგელისტი!.. თუმცა, თუ გინდა, მაგაზეც ვილაპარაკოთ,

— სანამ ქრისტეს მოწაფე ვახდებოდა, გადასახადების ამკრეფი იყო, რაც იუდაეაში ვეგლაზე დამამცირებლად ითვლებოდა. ეგ ლევი, ეგა! მათე და რჩა, ვითომ ლევი მე ვიყავი, — ჩაიქიჩილა ღრჯოლიანმა.

— რა გინდა?

— ეს ბიჭი მომეწონა, ვლადიმერ ლევი, კარგად ამბობს ბევრ რამეს, თავისი ჯოჯოხეთი და სამოთხე შიმშილსაც აქვს და სიყვარულსაც, მაგრამ, გარდა ამისა, არსებობს ტკივილისა და შიმშის, დაქანცულობისა და სევდის ჯოჯოხეთიცო...

— მაგიტომ ტიროდი?

— რას ვტიროდი, შენი ყურადღების მისაკცევიდ ვიმანჭებოდი, მომენატრა შენთან კამათი და შენი გაბრაზება. თან ვიცოდი, რომ, რაც ჩამოთვალე, ყველაფერი გჭირდა და ვიფიქრე, წავემველები-მეთქი, — ჯიბიდან თეფშზე კოხტად დაღებული ქათმის მკერდი გვერდზე ახალი ტყემლით, ამოიღო, გამომიწოდა და ღრჯოლები გადმოყარა. გულისჯიბიდან დაბეჭდილი „ქინძმარაულიც ამოამერინა და ისე შემომხედა, ჩემი ბავშვობის ძმაკაცის თვალები დაეინახე და გამეღიმა, ხელი ჩავიქნიე, ჯანდაბას შენი თავი-მეთქი. მივსხვიდი წერეთლის სკვერის კიდესთან, განაპირა სკამზე და განაზების გარეშე ვიტყუე პირში ქათმის ხორცი.

— ვირტუალურია, მაგრამ გაგაძობს, — თავის კანტურით მითხრა.

— ვიცო. ისე მშია, არ მაინტერესებს, ჰაერს ველაპავ თუ ქათმის ხორცს, — გამეცინა.

— ზურა, ნახე, რას ამბობს ეს ვინმე ლევი, როგორც ჩანს, სწორედ „სრულიად ჯოჯოხეთი“ და „სრულიად სამოთხე“ უნდა მუშა-

ობდენ ვეგლაზე გრძელი დროითი შკალის მიხედვით და განსაზღვრავდნენ განწყობილების ან განწყობის ზოგად ფონს ვოველგვარი სიამოვნების ან უსიამოვნების მიმართ...
 — კაი, კაცო-მეთქი!
 — ზომიერი, მე ტყუილად ლაპარაკი არ მიყვარს! ეს ტიპი შენზე და შენთან მგრძობიარეებზე წერს, თავისი სწახარს რომ მაგრად მაღავენ და სულ სხვანაირი ნილით დადიან! ნახე, რას ამბობს! მეგლევიოთ რომ მშობღეს, ალბათ, გარკვეულ დრომდე მაინც შევძლებ კარგი განწყობის შენარუნებას, მაგრამ თუ ახლობელ ადამიანს წავეჩხებ, ვერავითარი დანაწერება ვერ გამომიკეთებს გუნებას, ამ დროს მე ვხდები „სრულიად ჯოჯოხეთი“...
 — ეგრეა! საშინლად ვერ ვიტან ახლობელთან უთანხმოებას, ცუდად ვხდები... სული ტირილამდე მტკივდება...
 — ვიცო. ჰოდა, ნახე, რას ამბობს, ჩემი შეველა შეუძლია მხოლოდ ყურადღების ინტენსიურ გადატანას სხვა რამეზე, მოქმედებას, დროის, სიტუაციის შეცვლას... ან კიდევ, ღმერთმა ნუ ქნას! — დავლით ჯავრიან გულზე! — როგორც ჩანს, სწორედ „სრულიად ჯოჯოხეთი“ და „სრულიად სამოთხე“ გამოიყენებენ იმ მოქმედებებისას, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული რაიმე უშუალო ბიოლოგიურ წადილთან. უფრო სწორად, ეს სისტემები გვეკონინება „წახლისების“ და „დასჯის“ აღმასრულებელ იარაღად ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში და მოიხლება ხოლმე ფსიქიკური დარღვევების დროს...
 — მაგარია! ეგ ისეთი ფილოსოფიური თემაა, მე და შენ თუ გავარჩევთ და კიდევ ერთ-ორი მეგულეა საახლობლოში, თორემ ჩლუნგი ამას ვერ გაიგებს, იმათვის ადამიანი ჭიქით ხელში ან ლოთია, ან მთვრალი. უსულო ადამიანებს რანაირად გინდა აუხსნა, რა გტკივა, არადა, ამ დროს სული გეწვის და ხვამიადს ებრძვი... სულის სიმსივნე რომ არ განგივითარდეს, სიმსივნის კერას ძირკვავ, შუა ქირურგიულ პროცესში ხარ, რა...
 შენ ის მითხარი, ამ ჰოლივუდში რეები ხდებოდა თურმე, ეს რაღაა, იმათ რაღა სტკივათ ხოლმე, სასქესო ორგანოები?
 — ვაჰ, რა მაგრად გამაცინე! — ჩემი ეშმაკი სამჯერ მიწაზე გადაკოტრილდა, მერე ჯერ ჭადრის ხის კენწეროზე მოექცა, მერე ნორჩ კიპარისზე ისკუპა და ბოლოს ძლივს შევაწვდინე თვალი, „კრისტალბუთის“ აბრას ჩააზიდა ჩლიქი და განათებული ასო „ბ“ ჩააქრო. გული რომ იჯერა სიცლით, ისევ სკამზე მომისკუპდა და ღრჯოლებგადმოყრილმა კულზე დაიხედა, იმ აბრაზე კინაღამ დენმა დამარტყა კუდის რიკთან.
 — დენი რაში განადღელებს, ერთბაშად სული არ გაგეცხო, — ახლა მე ჩამეცინა.
 — სულის გაცხებისა რა გითხრა, მაგრამ დამწვარი ბაღის სუნ-

ზე გული მერევა ჯერ კიდევ ცოცხლად მყოფობიდან...
 — შენ ის მითხარი, იმ ჰოლივუდურ ამბებში კამალა ჰარისიცი რომ ყოფილა გარეული, ახლა როგორ იქნება მისი გაპრეზიდენტების ამბავი? ჩვენ ზომიერი, რომ ქლიავ საზოგადოებას ჰგონია, სრულიად ამერიკაა თავხედულადებული, თორემ, რეალურად, მაგარი კონსერვატორი ოჯახები არიან...
 — თვალები დავხუჭო და ისე გითხრა?
 — თვალდახუჭულს გცოდნია და რაღა აზრი აქვს დახუჭვას, — გამეღიმა მისი ცელქობაზე.
 — ეგ ბოთლი გითავდება, მერე გამოვუშვავ?
 — სივარტიც გამოყოლე! აგერ მივეყვდები ნაჭამ-ნასვამი, თან გავაბოლებ და მოვიმენ, ოღონდ, შენებურად არ გაუტო, აზრიანად ილაპარაკე, ისე, რომ რედაქციაში გამომადგეს, ქალბატონმა თამარმა თავზე არ დამახიოს შენი მონათხრობი...
 — აი, ამიტომ გელოდებოდი — ხმის გამცემი მენატრებოდა. ამ შტერ ხალხს ვერაფერს ვაგებინებ, დამდარან და ვეგლაფერზე „ფუი ეშმაკს!“ გაიძახიან... ბიჯო, საკუთარ ეშმაკს „ფუი“ კი არ უნდა უძახო, არამედ, უნდა მოუსმინო, ეგება, რას გეუბნება... არა, ადამიანს თავი მხოლოდ მოსაფხანად და ბალიშზე დასადებად რომ ადევს, იმისგან ხეივი არ არის...
ტრამპის მხარდამჭერი თემატიკა
 მოკლედ, ჩათვალეთ, რომ აშშ-ს უკვე ახალი პრეზიდენტი ჰყავს, დონალდ ტრამპი და ისეთი ამბავია ატეხილი, თითქოს მისი გაპრეზიდენტებით დაიწყო მერე მსოფ-

ლიო წარდენა. თუ ასეთი მიუღებელია ეს კაცი, აქამდე როგორ გახდა „სუპერსახელმწიფოს“ მეთაური?
 ისე, ზურა, რათ უნდა ღმერთს ამდენი ფუტურო ადამიანი, რატომ დააგროვა ამდენი ხლამი?
 — განაგრძე, ბევრს ნუ ლაპარაკობ!
 — კარგი. აირჩიეს ტრამპი, მერე დამნაშავეს ძენსა მიდგება საქმე და დამნაშავეც დასახელდება, ვითომ ამერიკელმა ხალხმა კი არ აირჩია ეს „გადარეული“ ტრამპი, არამედ ამოირჩიველთა კოლეგამ.
 ამდენად, რატომ არის ატეხილი ასეთი ხმაური აშშ-ში და მით უმეტეს, რას ვარჩევთ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების ამბებს, ან მერე კიდევ მათი არჩევნების შედეგს საქართველოში, გაუგებარია. „პრესის ლიდერს“ რას ეძახით? — ჩაკეცხა მოულოდნელად.
 — საიდან მოიტანე? — შეგხედე გოაცებულმა.
 — მაინტერესებს. პრესა რასაც ჰქვია, რომ ჩაუჯდები, წაიკითხავ და დაგაფიქრებს, რაღაცას შეიმეცნებ, გაიღიმებ და ადამიანური რეაქციები გეკნება, ეგეთი შენი გახეთია და ლიდერი სხვა რატომაა, რითი იზომება ლიდერობა, ეგ მაინტერესებს. მეც რომ ვწერივარ ხოლმე მაგ თქვენ გახეთში, ეგ ზომიერებს და მომწონს, მთელი დღე დავაფრთხილებ მერე იმ ნომერს.
 — მერე, წაიშმაკე რამე, მაგრამ უკულმა არ გამოგივდეს, ჯოჯოხეთში არ ამოგავყოფინო თავი, — გამეცინა გულიანად.
 — მეტი რაღა ვიეშმაკო, ყველამ იცის, რომ თქვენ ხართ მსუყვე გახეთი და არა თვითონ, მაგრამ ვინ შეგაქებთ? დაიკიდე, სხვას ერქვას „პრესის ლიდერი“, სახელით გაიხარონ...



გახვრებილი „რკინის გუგუბით“

მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შემფოთებით აღწევდა სიღატაკს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს. მართალია, უკვე ერთი წელია მიმდინარეობს ომი პალესტინასა და ისრაელს შორის, მაგრამ ამჯერად უკვე დიდი რეგიონალური ომის საფრთხე რეალური გახდა...

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში განხორციელებული შეტევის შედეგად დაიღუპა მოძრაობა „ჰეზბოლას“ ორი ათეული მაღალჩინოსანი, მათ შორის ჰასან ნასრალა, ლიდერი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არაბულ სამყაროში, მანამდე კი, ზაფხულში „ჰეზბოლას“ პოლიტიბიუროს ხელმძღვანელი ისმაილ ჰანიანი ირანში გამოასალმეს სიცოცხლეს.

ჯერ კიდევ ზაფხულში, ჰანიანის მკვლელობის შემდეგ, ირანის სულიერი ლიდერი აიათოლა ჰომეინი ისრაელს დაემუქრა, რომ მათი საქციელის გამო მკაცრ პასუხს მიიღებდნენ, თუმცა პრეზიდენტი მაჰმუდ პეშეჰეიანი საბრძოლო მოქმედებებისგან თავს იკავებდა. უფრო მეტიც, იგი მათ „მინდორზე“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენასამბლეაზე აშშ-ში პირადად ჩავიდა. პეშეჰეიანი გვამადგა აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან და მსოფლიოს მოწინააღმდეგეების ლიდერთან შეხვედრას, რათა მოლაპარაკებების შედეგად, არსებული მწვავე ვითარება განემუხტა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

სურვილი ერთია, მაგრამ პეშეჰეიანს მოლოდინმა არ გაუმართლა — სწორედ გაეროს გენასამბლეის მსვლელობისას, ისრაელის სამხედრო ავიაციამ შეტევა განახორციელა ლიბანის დედაქალაქზე. თავდასხმის შედეგად, დაიღუპა ჰასან ნასრალა. იგი თავდაპირველად დაჭრილი იყო, თუმცა, მოგვიანებით „ჰეზბოლამ“ იფიციალურად გამოაცხადა, რომ იგი დაიღუპა.

ბელის ირონიად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ბეირუთზე თავდასხმის შემდეგ გამოვიდა გაეროს გენასამბლეაზე სიტყვით ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ. მართალია, ნახევრადცარიელი იყო დარბაზი, რადგან არაბული ქვეყნების (არა მხოლოდ მათ) დელეგაციებმა პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად დატოვეს სივრცე, მაგრამ ფაქტია ის, რომ უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, რა საკითხებზე გაამახვილებდა ნეთანიაჰუ ყურადღებას.

როგორც პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები აღნიშნავენ, ღაზის სექტორში გატარებული უკიდურესად არაპუმანური ქმედებების გამო, რაც ფაქტობრივად, გენოციდია, საერთაშორისო არენაზე, ნეთანიაჰუს ხელისუფლება ყოველდღიურად კარგავს მხარდამჭერებს. ღაზის სექტორის ახლა ლიბანიც დაემატა. გასათვალისწინებელია, რომ იემენელი „ჰუსიტებიც“, რომლებიც პალესტინელებს უჭერენ მხარს და ისრაელის მტრად მიიჩნევიან — ისინი აქტიურად ებრძვიან აშშ-ს, ისრაელს და მათ მხარდამჭერებს. თუ ამ მოცემულობად დავუმატებთ ირანს, ფაქტობრივად, ისრაელს ოთხ ფრონტზე უხდება საბრძოლო მოქმედებების წარმოება.

ღაზს, დიდი ომის აგვიზგივების საფრთხემ რეალური სახე მიიღო გასულ კვირას მას შემდეგ, რაც ირანმა ფართომასშტაბიანი სარაკეტო დარტყმა განახორციელა ისრაელზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, გავრცელდა განსხვავებული ინფორმაციები. ისრაელის ხელისუფლების თავდაპირველი ინფორმაციით, ირანმა ისრაელს 180 ბალისტიკური რაკეტით შეუტია. ასევე, იუწყებოდნენ, რომ ირანის შეტევა წარმატებით მოიგერიეს და სარაკეტო დარტყმებს ისრაელისთვის მნიშვნელოვანი ზიანი არ მიუყენებია, თუმცა, ირანის სატელევიზიო არხები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ სარაკეტო შეტევის შედეგად აფეთქებულ ობიექტებს.

ისრაელში საჰაერო განგაშის გამოცხადებას მოსახლეობის მიწისქვეშა თავშესაფრებში მასიური განხიზნვა მოჰყვა. თვით ნეთანიაჰუსაც მოუხდა ახლადამყენებულ ბუნკერში თავისი მთავრობითური პირველად ჩასვლა — სწორედ იქიდან გააკეთა პირველი მიმართვა — განცხადება მსოფლიოსა და საკუთარი მოსახლეობისადმი.

სატელევიზიო კადრებში აშკარად ჩანდა შემინებული ნეთანიაჰუ, რომელსაც ნერვიულობისგან ხელები უკანკალებდა. ოპერატორი იძულებული გახდა რომ ტრანსლაციის კორექტირებისთვის მიემართა და, შემდეგ კი მხოლოდ მის სახეს აჩვენებდა. ნეთანიაჰუ დაემუქრა ირანს, შეტევას უპასუხოდ არ დატოვებოდა, მაგრამ მისი სიტყვები უტოპიად ჩათვალა საერთაშორისო საზოგადოებამ.



ისრაელზე სარაკეტო შეტევის შემდეგ, ირანის ხელისუფლებამ ფატარის მეშვეობით აშშ-ს გადასცა გზავილი, უფრო ზუსტად კი გაფრთხილება, სადაც ნათქვამია, რომ ცალმხრივად აღარ მოითმენ და შესაბამისად, აღარ შეიკავებენ თავს ნებისმიერი პროვოკაციის გამოვლენის შემთხვევაში, საიდანაც უნდა განხორციელდეს ის, — იუწყება ფატარის ტელეკომპანია „ალ ჯაზირა“. თავის მხრივ, ირანული გამოცემები იუწყებიან, რომ სარაკეტო შეტევა მდგ, აშშ-ის ადმინისტრაციამ ერაყის ოფიციალური ხელისუფლების მეშვეობით, მათ ხელისუფლებას რამდენჯერმე სთხოვეს რომ არ შეეჭათ მათი სამხედრო ბაზებისთვის.

მართალია, ისრაელის ხელისუფლება თავდაპირველად აცხადებდა, რომ ირანული რაკეტების უმეტესობა გაანეიტრალეს და მათ მნიშვნელოვანი ზარალი არ მოუტანიათ, მაგრამ მოგვიანებით სამხედრო პირებმა აღიარეს საჰაერო თავდაცვის „რკინის გუგუბის“ უმწიფობა ირანული რაკეტების მიმართ — ბალისტიკური რაკეტების უმრავლესობამ მიზანს მიაღწია და დაზარალა სამხედრო ბაზები. მიუხედავად არსებული ოთხმხრივი ფრონტის არსებობისა, ისრაელის არმიის გენშტაბის მეთაური ჰერცი პალევი აცხადებს: „ჩვენ გააგრძელებთ ზიანის მიყენებას და სრულად გავანადგურებთ „ჰეზბოლას“ ინფრასტრუქტურებს ყველგან, ეს იქნება ბეირუთში თუ სხვა ქალაქებში.“

ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, ლიბანსა და პალესტინაში, საბრძოლო მოქმედებები კვლავ გაგრძელდება. ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაცია დაბომბვებსა და სხვა სახის შეტევებზე. რეგიონისთვის კარგია, რომ ირანმა მხოლოდ ერთჯერადი შეტევა განახორციელა, თუმცა, სამხედრო ექსპერტების შეფასებით, მათ დაზვერვითი ოპერაცია ჩაატარეს — მოსინჯეს ისრაელის თავდაცვის მხარეები და დაადგინეს, სუსტი წერტილები.

მოწოდებები ცეცხლის შეწყვეტაზე მრავლადაა, მაგრამ ვისაც რეალურად შეუძლია რომ გავლენა იქონიოს ომის წარმოებაზე და მშვიდობა დამყაროს, პირიქით, ახალისებს ომს. კერძოდ, გასულ კვირას, ისრაელმა, აშშ-ის მხარდაჭერით იემენზე 39 სხვადასხვა სახის შეტევა განახორციელა, ისრაელის ტანკებმა შეუტოვეს სირიასაც. ამასობაში კი, ნეთანიაჰუს რეიტინგი და ავტორიტეტი ქვეყანაში მინიმუმადეა დაცემული. მოსახლეობა მის გადადგომას მოითხოვს; ნეთანიაჰუს აკრტიკებს ყოფილი პრემიერი ეჰუდ ოლმერტიც, თუმცა, ამაოდ...

უკვე უახლოესი მოკავშირეებიც ცდილობენ ნეთანიაჰუსგან დისტანცირებას — გასულ კვირას ემანუელ მაკრონი წამოაყენა წინადადება, რომ რეგიონში სიმშვიდის დასადგურების მიზნით, ისრაელს შეუწყვიტონ სამხედრო ტექნიკით დახმარება. ნეთანიაჰუ განარისხა მაკრონის წინადადება, რასაც „დასავლეთის სირცხვილი“ უწოდა. მაკრონისავე თქმით, „ღაზის სექტორში და ლიბანში ომი არ შედის ისრაელის ინტერესებში. დადგა ცეცხლის შეწყვეტის დრო.“ ვერაფერს იტყვი ადამიანი მსგავს განცხადებაზე — მაშასადამე, აქამდე მართებული იყო სისხლისღვრა?

საყურადღებო ფაქტია, რომ სექტემბრის ბოლოს, რუსეთში, უშიშროების საბჭოს სხდომაზე, ვლადიმერ პუტინმა ორგანიზაციის წევრებს მოუწოდა „ბირთვული შეკავების“ პოლიტიკის გადახედვისკენ. მისი განცხადებით, „ნებისმიერი აგრესია რუსეთის წინააღმდეგ, თუნდაც არაბირთვული სახელმწიფოს მიერ, რომელიც მხარდაჭერილი იქნება რომელიმე ბირთვული სახელმწიფოს მხრიდან, განვიხილავთ, როგორც მათ ერთობლივ თავდასხმას რუსეთის სახელმწიფოზე. აქედან გამომდინარე, მოსკოვი უფლებას იტოვებს, აგრესიის შემთხვევაში, გამოიყენოს ბირთვული იარაღი, მათ შორის, იმ დროსაც, თუ მოწინააღმდეგე არაბირთვული იარაღით განახორციელებს შეტევას და შეგვიქმნის ქვეყნის სუვერენიტეტის არსებობისთვის კრიტიკულ სიტუაციას.“ დამაფიქრებელი განცხადებაა, განსაკუთრებით ჩვენს ე.წ. ოპოზიციისთვის, რომლებიც რუსეთთან ომისკენ ილტვიან. ისიც საგულისხმოა, რომ მსგავსი განცხადებები უშიშროების საბჭოდან, აქამდე საჯაროდ არ თქმულა.

აშშ-ში საარჩევნო კამპანია სრული სვლით მიმდინარეობს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 5 ნოემბრის არჩევნებზე დამოკიდებული მსოფლიოში არსებული ქაოსისა და ომების დასრულების ბედი. თუ არაფერი შეიცვალა, მსოფლიო ისევ იმ რეალობაში დარჩება, რაც დღეს არის — აშშ-ს პრეზიდენტი მეორედ გამართავს პრესკონფერენციას თუთ სახლში, ბრფინგების დარბაზში (ჯო ბაიდენმა, თანამდებობაზე ყოფნის დროს, გასულ კვირას, პირველად გამართა პრესკონფერენცია თუთ სახლში) და კვლავ მიესალმება ჟურნალისტებს სიტყვებით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საცურაო აუზში“, თუმცა, ამ სიტყვებს, უკვე კამალა ჰარისი იტყვის სუფლიორის კარნახით — იგი ხომ მოკარნახის გარეშე უმარტოებს შეკითხვებს ვერ პასუხობს და უხერხულობის გადასაფარად ხალისიანი ქალის იმიჯს ირგებს, უაზროდ იცინის.

მსოფლიოს საგალობლად, ქალბატონი ჰარისიც ახლო აღმოსავლეთსა თუ სხვა, ნებისმიერ რეგიონში, ომების წამოწყებისა და უკვე წარმოებული ომების გაგრძელების მომხრეა...

ბია ბურდული



(დასაწყისი „სმ“ # 32-33)

ტარიელის ვერტმფრენის ჩამოვარდნის ამბავი ისე ჩამრჩა გონებაში, რომ მისი სახე დღემდე ცხადად მახსოვს — სიკეთე და ხალისი სახეზე ერთდროულად რომ დასათამაშებთ, ისეთი გარეგნობის იყო. როდესაც ვერტმფრენის ჩამოვარდნის ადგილზე მივიდნენ, თურმე, ტარიელის ცხედარს ვერ პოულობდნენ, არადა, ისიც იქვე ახლოს უნდა ყოფილიყო. მოიარეს მთელი ტერიტორია, მაგრამ არსაც ჩანდა. რომელიღაცას უთქვამს, აბა, ყური მიუხედეთ, არ მჩვენება, თქვენ რატომ არ გეხმობ, ეს რისი ხმა უნდა იყოს ამ ადგილზეო — რაღაც სუსტად რაკუნობდა. მიჰყვებოდა ხმას და...

ტარიელს გოგო ჰყავდა დანიშნული, ამბობდნენ, ულამაზესი გოგოაო, ერთ თვეში ქორწილი უნდა ჰქონოდათ და ტარიელი ხელზე ნიშნობის ბეჭდით დადიოდა. სიოს მონაბერით, დამწვარი ტარიელის თითზე „კალიცო“ ქანაობდა თურმე და სიპ ქვას ხვდებოდა, ის გამოსცემდა იმ სუსტ რაკუნს...

თვე-ნახევარი ვიყავით ბაინდურის ნაბინაურში და ნახევრადველური ცხოვრებით ვცხოვრობდით იმ ტყე-ღრუში, სადაც ყველანაირი ცხოველი იყო ქვეწარმავლების ჩათვლით, თითისტოლა ბავშვი ჩემს ნებაზე დადიოდა ერთ ჩემზე



პატარა ლეკვთან ერთად, რომელსაც „ფავერა“ დაარქვეს. ფოტოზე ის მომენტია, როდესაც პლატო ძიამ ლეკვი გამაცნო და მე, ზედმეტად ფრთხილი ბავშვი, მორიდებით ვეცნობი. მე კოხეტა გავხდი, პლატო ძია — ჟან ვალჟანი — ასე დაგვარქვა დანარჩენმა საზოგადოებამ. წიგნები გვქონდა წაღებული, დაბე, სანთლის შუქზე დედაჩემი გვიკითხავდა კარავში მყოფებს და ასე დაემთხვა „საბრალონი“. ვიღას ახსოვდა ის დათვი, ან სხვა გარეული ცხოველი — პირველყოფილ ბუნებასთან შერწყმამ შიშის გრძობა გააქრო.

დედაჩემი იხსენებდა, პირველ დილას, შორს, მთის წვერზე, შნის ფონზე დამდგარი ჯორის სილუეტი რომ დაინახე, მომიტრიალდი და მკითხე, დედა, ეს ირემო მთასა მყვირალაო? ბებიჩემი ამბობდა ხოლმე ამ ლექსს და ცალკე „ირემი“ არ იყო ჩემს შემეცნებაში, მას უცილობლად „მთასა მყვირალაო“ უნდა დართოდა...

დაღესტნელი დათვის სტუმრობის გახსენებამ თუმი დათვები გამახსენა. ბარიდან, კახეთიდან რომ ცერზე გადახვალ და ფიცრის-ჭალაში ჩაეშვები, მოპირდაპირე მხარეს, პირდაპირი მნიშვნელობით, მზეთუნახავი მთაა, წელიწადის არცერთ დროს და არცერთ

წამს რომ შნის სხივი არ ხვდება და, შესაბამისად, მასზე ჩამოშლილ ნახევარში ისეთი უძველესი და უდნობი თოვლი დევს ზაფხულშიც კი, რომ ვინც იქამდე მისულა, მან მითხრა, თოვლში მატლებიაო. რომ უყურებ, გგონია, აქვება, ხელის გაწვდენაზე, მაგრამ რეალურად შორს არის. ოპტიკის კანონია რაღაც, თორემ აბა, ეს მანძილი სად იკარგება, რატომ ხვდავს თვალი ახლოს, რაც იქ ხდება?

რა ხდება და, ზაფხულში, დღისით, ხელისგულივით მოჩანს, როგორ მიჰყავს დედა დათვს ბელები იმ მთაზე და როგორ ასწავლის მთიდან დაცურებას. მართლა საოცარი სანახაურია დათვების სიხარულის ბუნებრივი სურათი. ეს ხომ ცირკი არ არის, რომ გავ-

ხუნწისა და ხურტკმელის ხეებია და მათი მწიფობისას ისეთი ამბავია, იფიქრებ, მთელი კავკასიონის სადათვეთი აქ შეკრებილაო. დადგებიან ორ ფეხზე, აიტოტებიან და თავისკენ ეზიდებიან, თათებით ღოწავენ ნაყოფს და პირში იყრიან. ბელები ნასუფრალს სჯერდებიან, რაღაც პატარა ხეზეც ებღატებიან, მაგრამ მთავარი მათი დანაყრება კი არა, სწავლებაა, რომელიც, სხვა დანარჩენთან ერთად, დედამ უნდა ასწავლოს მომავალი ცხოვრებისთვის, როცა უდევოდ დარჩებიან. ჩვენ, ადამიანები რას გავიგებთ, თორემ დათვები საუბრობენ ერთმანეთში და მშვენივრად აგებინებენ ყველაფერს.

საერთოდ, როგორც წესი, ნადირი, ამ შემთხვევაში დათვი, უფროხის ადამიანთან შეხვედრას,



„თეთრი ქარავანი“, „გაია წყნეთელი“, კეთილი დავი და მე...

ვრთნილმა დათვმა შეასრულოს რაღაც მოქმედებები. დედა, ალბათ, იმიტომ ასწავლის მთიდან დაცურებას, რომ ცხოვრებაში გამოადგებათ, მაგრამ ბელებს ამკარად ეტყობათ, რომ პატარა ბავშვებით მოსწონთ დედის ნასწავლი

თვითონ აგერიდება ბუნებით მშვიდი ცხოველი, მაგრამ თუ კბილი სტკივა, ან ბელებთან ერთად არის, ოდნავი დაფოვნება და ვერაფერი გადაგარჩენს, თავქვეზეც დაგეწევა და აღმართხვც. დედა დათვს რა უნდა მოუხერხო, შუბლში ტყვიის დაჭედების გარდა — არ ვიცი (გულში ძნელია დამიხსენება, მაგარი ჩუბინი უნდა იყო, რომ ის წამი გამოიყენო, როცა აიტოტება და გაშლილია მხრებში, თორემ, რომ ვერ მოკლა, დაჭრილი უარესად აგრესიული და დაუნდობელი ხდება), მაგრამ მაშალ დათვს, გარდა შუბლში სროლისა, პირისპირ თუ გადაყვარე და ვერცერთმა გაქცევა ვერ მოახერხეთ (ავტომატი თუ გაქვს, სხვა საკითხია, მიუშვებ ჯერს და გადაცხრილავ, მაგრამ ავტომატს დაგიხატავენ), ხანჯალი უნდა გქონდეს, ატოტილს გულში რომ გაუყარო და ის ტკივილი აიტანო, რასაც მანამდე მოგაყენებს, ან, თუ უხანჯლოდ ხარ, ფეხებშუა სტაცო ხელი და მთელი ძალით მოუჭირო, რომ გრძობას დაკარგოს; ან ხელზე მოასწრო რაიმე სქელის გადახვევა და ღია პირში მისცე, გაუძლო მისი ყბების მოჭერას, მაგრამ თუ ამეების შნო არა გაქვს, დაეტიე სახლში, რაღაც დაძვრები კლდე-ღრუში. საქმე ის არის, რომ კბილმტკივანი, ან დედა დათვი კი არ გაფრთხილებს, პირდაპირ გადმოდის შეტევაზე, გამველელი დათვი კი გაფრთხილებს, შანსს გაძლევს, თვითონაც არ უნდა შარი და თუ დათვზე სანადიროდ არ ხარ საგანგებოდ წასული, გაერიდები, ან დააცდი, თვითონ

წავა, თუ რამე საეჭვო მოძრაობა არ შენიშნა შენში.

საკუთარი სამყარო აქვთ დათვებს, საკუთარივე საზღვრებით შემოფარგლული. კი, ასე იციან დათვებმა, დადგებიან უკანა თათებზე, აეკრობიან ხეს, ეხახუნებიან, ზედ ატოვებენ ბალანს და რაც შეიძლება მაღალზე გაზავენ მის ვარჯს, ასე ნიშნავენ საკუთარი ტერიტორიის საზღვრებს, თითქმის ყველა ხესთან მიდიან და ორი კვირის მერე ისევე აახლებენ საზღვრის შემოფარგვლას, რადგან ამ ხანში ადრე დატოვებული სუნი და კვალი ქრება.

პატარაობიდან მიყვარდა და მაინტერესებდა ცხოველებთან და ფრინველებთან ურთიერთობა, ამდენად, საკუთარი დაკვირვებებიც მქონდა — ჩემი არწივის შესახებ მოგვიანებით გიამბობთ. ერთი რამ შეენიშნე, მაგრამ თავს

ერთი ხმელი ფოთოლი არ გაიშრა-შუნებს და ერთი წიკრი არ გატყდება მათი სიმძიმის ქვეშ.

პლატო ძიას სასტუმრო ოთახში თავისი ლეკი ძმაკაცის მოკლეული ვეება დათვის დიდი ტყავი ჰქონდა იატაკზე გაფენილი, რომელსაც თავიც ზედ ება. შებინდებულზე იმ ოთახში ვერ შევდიოდი, მეშინოდა. იატაკზე დათვი იყო გაწოლილი, ჭერზე კი, ოთხივე კუთხიდან წვერებიანი კაცი იშვირებოდა. რომ გავიზარდე, მერედა გავიგე, რომ ალექსანდრე ყაზბეგი ყოფილა დახატული...

ნეტავ, დედაჩემი რას ფიქრობდა, რატომ იყო დაიმედებული, რომ დაღესტნის მთებში არაფერი შემემთხვეოდა? მეცხვარეებთან გადასასვლელ მორზე რომ გადავბოდი და გადმოვბოდი, კონკრეტულად იმ ადგილზე იყო მდინარე ღრმა და, შესაბამისად, შედარებით მღო-



ვრე დავდებ — ბელი თუ ნადრე ვად დარჩა ობლად და როგორღაც გაიტანა თავი, არ მოკვდა, ასე ვთქვათ, პირქუში, უხასიათო, უფრო ძლიერი, ჭკვიანი და გამოცდილი დათვი დგება. ასეთი დათვი ერთ-ორად საშიშია, წამდაუწუმ თავს ატრიალებს, გარემოს ყნოსავს, რადგან იცის, რომ თუ ადამიანის სუნი და ხმა შორიდან მოდის, გაქცევა სჯობს, თუ არადა, მაშინ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამართოს. ის ბევრად წინ არის, ადამიანს ხომ მისი სიმყრალე შორიდანვე არ სცემს, ვერც მის მოახლოებას გრძობს, რადგან, მიუხედავად თითქოსდა მათი მოუხეშავი აღნაგობისა, დათვებმა, სპილოებისა არ იყოს, საოცრად უხმაუროდ იციან გადაადგილება,

რე, დანარჩენ ადგილებზე მხოლოდ სწრაფი იყო, იქ რომ ჩავარდნილიყავი, ველარაფერი გადამჩენდა — მეცხვარე ძაღლების მეშინოდა, თორემ მეცხვარეები ვერ მომიშორებდნენ ექილან. სიტყვები მესმოდა და ვიცოდი, რა იყო: ღუქარდი, ბარდნა, ქოჭები, საპალნე და ა. შ. მაგრამ გადმიდან მოცქირალს ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა, ისე მაინტერესებდა, რას უშვრებოდნენ ცხვრებს, რატომ იჭვრდნენ და ავირავდნენ. რომ გავიგე, რომ პარსავენ, აუტანელმა ცნობისმოყვარეობამ ამიტანა, ძალიან მაინტერესებდა, სად ჰქონდა ლოყები ცხვარს და რანაირად უპარსავდნენ იმ ლოყებს...

(გაგრძელება იქნება)



